

სატრანსპორტო პოლიტიკას მთავრობა მატარებელში ამუშავებს

A2



მუსიკის მსახურის სულისკვეთება

A5



"ივან ელგერა: "რეალი საწარმოა"

A6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 9 სექტემბერი, 2005 წელი. №202 (1062)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ჩვენებები, რომლებმაც ირაკლი კაკაბაძეზე თავდასხმა კიდევ უფრო გააბუნდოვანა

ფულის გამოძალვის ბრალდებით დაკავებული შალვა რამიშვილის შემცვლელის, ტელეკომპანია 202-ის წამყვანის ირაკლი კაკაბაძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით გუშინ თავად ირაკლი კაკაბაძეც დაკითხეს და მისი მეგობარი ზაალ ბაიდაშვილიც.

A2

## ამბები

### შეთანხმება არ შედგა

საქართველო გაზს 2006 წლის 1 იანვრიდან გაზრდილი ფასით მიიღებს. ტრანზიტის საფასური კი, საქართველოს გავლით სომხეთისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებისთვის, ნაღდი ფულით, საერთაშორისო ფასების შესაბამისი ტარიფით იქნება გადახდილი.

A2

## ამბები

### ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატის თეორიები და ექსპერიმენტები

ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატის, გოჩა ფიფიას მტკიცებით, ქვეყანაში ტოტალიტარიზმი მძვინვარებს. მისი თქმით, საპარლამენტო ოპოზიციის წევრთა თვალთვალმა და სატელეფონო მოსმენებმა მასობრივი ხასიათი მიიღო.

A3

## ამბები

### პოლონეთი რუსეთ-გერმანიის შეთანხმებით უკმაყოფილოა

კვასნევსკის განცხადებით, ბერლინმა გადაწყვეტილება პოლონეთთან ან ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან კონსულტაციის გარეშე მიიღო.

A3

## ამინდი

| | 9/09 | 10/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 25 |
| ტყიბული | 22 | 24 |
| სოხუმი | 25 | 25 |
| გორი | 21 | 21 |
| ონი | 17 | 19 |
| ზუგდიდი | 26 | 27 |
| სამტრედია | 25 | 25 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7975 |
| ევრო | 2.2395 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3070 |
| რუბლი | 0.0637 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| მონიტორინგი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# გორდიას კვანძის გახსნა უკრაინის სახელით

### "გარკვეული პოლიტიკური პერსონალიების" კრიზისი უკრაინაში

ნიკა თარაშვილი

*უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ გუშინ იულია ტიმოშენკოს მთავრობა გადააყენა და ახალი მთავრობის ფორმირება დნეპროპეტროვსკის ოლქის გუბერნატორს იური ეხანუროვს დაავალა. იუშენკოს თქმით, ეს გადაწყვეტილება მთავრობაში "გუნდური სულისკვეთების" არარსებობით, ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტს შორის განუწყვეტელი კონფლიქტებით იყო გამოწვეული. უკრაინის პრეზიდენტი აცხადებს, რომ მთავრობის ყოფილმა მეთაურმა "პირველ ადგილას საკუთარი თავის ან თავისი პოლიტიკური ჯგუფის "პიარი" დააყენა". თუმცა, მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, იუშენკო არ აღიარებს, რომ "ნარინჯისფერი რევოლუციის" ქვეყანაში სახელისუფლებო კრიზისია. მისი თქმით, დღეს უკრაინაში მხოლოდ "გარკვეული პოლიტიკური პერსონალიების" კრიზისს აქვს ადგილი.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ნარინჯისფერი გუნდი დაიშალა.*

# როგორ გადავარჩინოთ უნივერსიტეტი

ნიკო მელიქაძე
*სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრი*

*საქართველოში განათლების რეფორმის ერთ-ერთი უშუალო ობიექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც გახდა. ცხადია, უნივერსიტეტი სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს - უნივერსიტეტში შექმნილი ზნეობრივი ატმოსფერო, მისი ინტელექტუალური ცხოვრება რადიკალურად არის შესაცვლელი. ამის მიუხედავად, ამ რეფორმის პირველსავე ნაბიჯებს ქართული საზოგადოება დიდი შეშფოთებით გამოეხმაურა. ეს წერილიც ამგვარი შეშფოთების გამოხატულებაა; კერძოდ, ამ შემთხვევაში ყურადღების ცენტრში გვსურს უნივერსიტეტის რეფორმის გააზრების ფორმა მოექცეს; თბილისის უნივერსიტეტის რეფორმა მხოლოდ მისი შინაგანი მოწყობის საკითხი როდია; ქვეყანაში ინტელექტუალური ცხოვრების ბედზე ყველას გვმართებს დაფიქრება.*

თბილისის უნივერსიტეტის რეფორმა მისი ორგანიზაციული ცვლილებებით დაიწყო. შეიძლება, ეს აუცილებელიცაა. მაგრამ პრობლემა ის გახლავთ, რომ ასეთი რეფორმის ძირეული საკითხი - როგორი უნივერსიტეტი გვინდა რომ გვქონდეს? (ანუ, როგორია ამ რეფორმის მიზანი?) - ჯერ არც კი დასმულა და არ განხილულა. ამ საკითხზე ფიქრი კი შეკითხვათა მთელ რიგს წარმოშობს: საერთოდ, რა არის "უნივერსიტეტი"? არის კი თბილისის უნივერსიტეტი, დღევანდელი სახით, "უნივერსიტეტი"? რატომ გვინდა, რომ იგი "უნივერსიტეტად" ვაქციოთ? რა გახდის განათლების ინსტიტუტს "უნივერსიტეტად"? არის თუ არა ამისათვის საჭირო ფაკულტეტების გამსხვილება? ან, მაგალითად, არსებითად რა შეიცვალა საქართველოს პოლიტექნიკურ, სამედიცინო და უმაღლესი განათლების სხვა ინსტიტუტებში, როდესაც მათ რამდენიმე წლის წინ "უნივერსიტეტი" დაირქვეს? და საერთოდ, რისთვის სჭირდება

გაგრძელება A4 გვერდზე

# ან კლინიკა, ან ბაზარი

*ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია სამკურნალო დაწესებულებების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმებას აგრძელებს. ორი დღის წინ მათ რესპუბლიკურ საავადმყოფოში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინეს, გუშინ კი, სრულიად მოულოდნელად, რკინიგზის საავადმყოფოს ესტუმრნენ. რკინიგზის საავადმყოფოს პირველ სართულზე, სარდაფსა და ეზოში სანიტარიულმა ინსპექციამ სავაჭრო ობიექტები, პროდუქტების საწყობები, ბაზრობა და კომერციული ავტოსადგომი აღმოაჩინა. მესხიშვილის განცხადებით, თუკი საავადმყოფოს ხელმძღვანელობა მდგომარეობას სასწრაფოდ არ გამოასწორებს, შესაძლოა, მან რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფოს დახურვა მოითხოვოს.*

თამარ დვალი

საქართველოს რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფოს ბაზაზე ოთხი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კლინიკა მოქმედებს - რკინიგზის საავადმყოფო, რკინიგზის ბავშვთა პოლიკლინიკა, დიაგნოსტიკის ინსტიტუტი და აკადემიკოს ფიფიას სახელობის კლინიკური ბაზა. საავადმყოფოს ტერიტორიაზე სანიტარიული მდგომარეობის შემოწმებისა და რეაგირების თხოვნით, სანიტარიულ ინსპექციას სწორედ ამ უკანასკნელი დაწესებულების ხელმძღვანელმა ალექსანდრე დავითაშვილმა მიმართა. თუმცა, დარღვევები სწორედ იმ ობიექტზე აღმოჩნდა, რომელმაც შემოწმება ითხოვა.

შემოწმებაზე მისულ სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელს დავით მესხიშვილს რკინიგზის საავადმყოფოს პირველ სართულზე, საავადმყოფოს სარდაფსა და ეზოში სავაჭრო ობიექტები, პროდუქტების საწყობები, ბაზრობა და კომერციული ავტოსადგომი დახვდა. როგორც გაირკვა, კლინიკის ხელმძღვანელობას კერძო პირებთან კომერციული ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული, რომლის მიხედვით, საავადმყოფოს ფართი იჯარით არის გაცემული.

გაგრძელება A2 გვერდზე



# ამომრჩეველთა სიები - ტრადიციული პრობლემა

*პარლამენტის შუალედური მაჟორიტარული არჩევნები საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ფონის თანხლებით რომ გაიმართება, ეს უკვე ნათელია. აქტიურდება ოპოზიცია, რომელიც ერთიანი ტაქტიკის შემუშავებას იწყებს. ხელისუფლებაზე ერთ-ერთი პირველი სერიოზული შეტევა, ყველა ნიშნით, სწორედ მაჟორიტარული არჩევნები იქნება (შეგახსენებთ, რომ მაჟორიტარული არჩევნები პირველ ოქტომბერს ისანში, ბათუმში, ქობულეთში, შუახევსა და ტყიბულში გაიმართება).*

თამარ მჭედლიშვილი

ამასობაში, ცენტრალური საარჩევნო კომისია ტექნიკურ საკითხებს აგვარებს. მართალია, ხუთივე საოლქო საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა სიები უბნებში უკვე გადაგზავნა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს - როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დღეს საარჩევნო კომისიების ხელთ არსებული, ამომრჩეველთა მონაცემები ისეთივე დაუზუსტებელია, როგორც ნებისმიერი წინა არჩევნების დროს.

როგორც "24 საათს" ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განუცხადეს, საუბნო საარჩევნო კომისიები ყველაფერს აკეთებენ, რათა არჩევნებამდე დარჩენილ დროში ამომრჩეველთა სიები მაქსიმალურად გაკეთილშობილდეს, თუმცა ამის გაკეთება არცთუ ადვილი იქნება - ნეიტრალური ამომრჩევლების აბსოლუტური უმრავლესობა ცესკო-ს მოწოდებისადმი სრულიად გულგრილი აღმოჩნდა, საუბნო საარჩევნო კომისიებში ძალზე ცოტა ამომრჩეველი მიდის იმის შესამოწმებლად, არის თუ არა შეტანილი მისი გვარი ერთიან სიაში.

როგორც საუბნო საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, მათ მხოლოდ ის ამომრჩეველი აკითხავს, ვინც არჩევნებში მონაწილე რომელიმე პარტიის ან კანდიდატის ღია გულშემატკივარია. საკუთარი მონაცემების სიაში შეყვანით ადგილობრივი ხელისუფლების მხარდამჭერებიც არიან დაინტერესებულები. მიზეზი აბსოლუტურად გასაგებია - ჩვენი ინფორმაციით, მმართველმა პარტიამ ადგილებზე სრული მობილიზაცია გამოაცხადა და თითოეული პირის, ვისაც ადგილობრივ ხელისუფლებასთან რაიმე კავშირი აქვს, არჩევნებზე მისვლის ბრძანება გასცა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მთავრობა თავის თავს ეწინააღმდეგება

### პარლამენტში მთავრობიდან შესულ კანონპროექტს, "განმარტებითი ბარათის" ნაცვლად, "თავგზისამბნევი ბარათი" ახლავს

*დამოუკიდებელ მარეგულირებელთა საბიუჯეტო დაფინანსებაზე გადაყვანის კანონპროექტის ირგვლივ, რომელიც სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ამ ბოლო ორი თვის განმავლობაში უკვე მეორედ, ამჯერად ოდნავ შეცვლილი სახით წარუდგინა პარლამენტს, საუბრები არ წყდება. ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ კანონპროექტი მკვდრადშობილია და მას პარლამენტში არავითარი შანსი არა აქვს. თუმცა, არსებობენ კანონპროექტის მომხრეებიც, რომელთა აზრითაც, დოკუმენტის დახვეწის შემთხვევაში, რეგულირების გადასახადის გაუქმება ქვეყნის ეკონომიკას ტვირთს საგრძნობლად შეუმსუბუქებს. ამ ეტაზზე საუბარი რეგულირების მოსაკრებელის გაუქმებას, მარეგულირებელთა საბიუჯეტო დაფინანსებაზე გადასვლას და "ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის" შექმნას ეხება, რომელმაც, საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერის შემთხვევაში, სამოქალაქო ავიაციის, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციები უნდა გააერთიანოს. თუმცა, პარლამენტმა სატრანსპორტო ადმინისტრაციების გაერთიანებას მხარი უკვე დაუჭირა. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ეს ადმინისტრაციები დამოუკიდებელი მარეგულირებლის სტატუსით უნდა არსებობდნენ.*

მაია ურუშაძე

ორი სიტყვით მთავრობის მორიგი იდეის შესახებ: ბენდუქიძის განმარტებით, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ანუ **"მითითებული დაფინანსების წყაროს გაუქმებით** (იგულისხმება რეგულირების გადასახადი, რომელიც რეგულირების სფეროში შემავალი კომპანიებისგან იკრიბება) **გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, თუმცა სატრანსპორტო საწარმოებს მოეხსნებათ ტვირთი რეგულირების საფასურის გადახდის ვალდებულების სახით."** ანუ, ადამიანურ ენაზე ეს ნიშნავს, რომ ამ ადმინისტრაციის შესანახად, სატრანსპორტო კომპანიების ნაცვლად, დამატებითი თანხის გამოყოფა ბიუჯეტს მოუწევს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დავალიანებები იმაზე მეტია, ვიდრე ფინანსთა სამინისტრო ვარაუდობდა

### პარლამენტში მიმდინარე წლის ბიუჯეტზე იმსჯელეს

გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა რეგლამენტის მოთხოვნა შეასრულა და 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. როგორც კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ლაშა გოცირიძემ განაცხადა, 2005 წლის პირველ ექვს თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ორჯერ გაიზარდა, დაიფარა საპენსიო დავალინებები და ჯანდაცვის სექტორში არსებული ძველი ვალდებულებები.

ინერგება ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის სისტემა, რომლის საფუძველზეც უკვე განსაზღვრულია 2006-2009 წლებში ბიუჯეტების პრიორიტეტები. მისი თქმით, 2005 წლის პირველ 6 თვეში, მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში 6,8 პროცენტით გაიზარდა და 5 მილიარდი ლარი შეადგინა.

როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენელი ინფორმაცია კომიტეტმა ცნობად მიიღო.

ამავე დროს, ლაშა გოცირიძემ განაცხადა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გასასტუმრებელი საბიუჯეტო დავალიანება 60 მილიონი ლარით გაეზარდა. უწყების მიერ ჩატარებული დაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ 2003 წლამდე წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანებები იმაზე მეტია, ვიდრე ფინანსთა სამინისტრო ვარაუდობდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჩვენებები, რომლებმაც ირაკლი კაკაბაძეზე თავდასხმა კიდევ უფრო გააბუნდოვანა

*ფულის გამოძალვის ბრალდებით დაკავებული შალვა რამიშვილის შემცვლელის, ტელეკომპანია 202-ის წამყვანის ირაკლი კაკაბაძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით გუშინ თავად ირაკლი კაკაბაძეც დაკითხეს და მისი მეგობარი ზაალ ბაიდაშვილიც.*

როგორც ცნობილია, ირაკლი კაკაბაძე, რომელსაც შალვა რამიშვილის დაპატიმრების შემდეგ ტელეკომპანია "202"-ის ეთერში გადაცემა "დებატები" მიჰყავდა და საქართველოს ხელისუფლების მიმართ თავისი უკიდურესად კრიტიკული განწყობაც დააფიქსირა, 7 სექტემბერს ღამით მასზე განხორციელებული ძალადობის ფაქტის შემდეგ, გუშინ პირველად დაკითხეს. გუშინვე, მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობდა მისი მეგობრის ზაალ ბაიდაშვილის უკვე მეოთხე დაკითხვა.

სრულიად ბუნებრივია, რომ ოპოზიციურად განწყობილი კაკაბაძის მიმართ გამოვლენილი ძალადობა გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მოინათლა და ამ ფაქტს შესაბამისი აჟიოტაჟიც მოჰყვა.

თავში სერიოზულ დაზიანებებმიღებული კაკაბაძე ინციდენტიდან მეორე დღეს ჩვენების მიცემაზე უარს ამბობდა, თუმცა, მისი მეგობარი ზაალ ბაიდაშვილი, რომელსაც ირაკლი კაკაბაძე, ამ შემთხვევაში, თავის მხსნელს უწოდებდა, თბილისის პროკურატურამ მეტად არამეგობრული კუთხით წარმოაჩინა - გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ბაიდაშვილი ამბობს, რომ კაკაბაძემ მასთან ორი ბოთლი ლუდი დალია, დათვრა და ღამის სამ საათზე ეზოში ჩავიდა, სადაც ბაიდაშვილის უბნელებთან კონფლიქტი მოუვიდა.

**"გააფრინა, არეკილი ჩავიდა ეზოში; იქ მოუვიდა სპორი, ბიჭებმა დაკრეს და დაკრეს. გავიგე ყვირილი, ჩავედი, ხელი მოვკიდე და ამოვიყვანე; არ მოისვენა და ეზოსკენ გამექცა. ისევ იმ ბუტკასთან დახვდნენ, იმიტომ, რომ იგინებოდა, - ვაკელებო, ვაკელებო, თქვენი დედა .... იმენნა დიდი შეურაცხყოფა მიაყენა ჩემს უბანს. ხომ იცი, რა შეკრული უბანია. ბიჭებს ხელი რომ დავადო, უბანში როგორ გამოვიდე, მე მაგათ ხელს ვერ დავადებ, რა პონტია,"** - ასეთი სიტყვები წერია ბაიდაშვილის ჩვენების თანმხლებ სინქრონულ ტიტრებში.

ბაიდაშვილის თქმითვე, ის და ირაკლი კაკაბაძე შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული ინციდენტისთვის "პოლიტიკური პიარი" გაეკეთებინათ და ცემის ფაქტი გადაცემა "დებატებისთვის" პოლიტიკურ ანგარიშსწორებად წარმოეჩინათ. ბაიდაშვილის განცხადებით, თავდაპირველად ის ამ ინიციატივას დათანხმდა, თუმცა შემდეგ ამაზე უარი თქვა.

უნდა ითქვას, რომ ეს უკვე მეორე ვერსია გახლავთ, რაც ბაიდაშვილმა პროკურატურას მიაწოდა და, ცხადია, პოლიტიკურ დატვირთვას იმდენად ატარებს, რამდენადაც ოპოზიციურად განწყობილი ირაკლი კაკაბაძის მაკომპრომეტირებელ ინფორმაციას შეიცავს. ამის საპირისპიროდ, თავად ირაკლი კაკაბაძის ადვოკატი იოსებ ბარათაშვილი ამბობს, რომ ირაკლი კაკაბაძეს არ სურს მომხდარის პოლიტიზება და მან ამის თაობაზე უკვე დააფიქსირა კიდეც თავისი პოზიცია.

ადვოკატს მიაჩნია, რომ თბილისის პროკურატურის გამომძიებლები ცდილობენ, როგორმე ჩირქი მოსცხონ ირაკლი კაკაბაძეს, მის სახელს და საზოგადოებას გარკვეული ეჭვები შეუქმნან.

ადვოკატის მონაცემებით, სიმართლე ისაა, რომ "202"-ის ეთერის დასრულების შემდეგ ირაკლი კაკაბაძე თავის მეგობართან ზაალ ბაიდაშვილთან ერთად წავიდა სახლში. დაახლოებით, 4.00 საათზე იგი ბაიდაშვილის სახლიდან უკან ბრუნდებოდა, როცა მას ორი პირი თავს დაესხა და ერთ-ერთმა მათგანმა ირაკლის თავში რკინის საგანი ჩაარტყა.

იოსებ ბარათაშვილის განცხადებით, მათ ირაკლი გაძარცვეს, მოპარეს საფულე, რომელშიც 85 ლარი იდო. თუმცა, დაზარალებულს გონება არ დაუკარგავს, მან მოახერხა ის, რომ ტელეფონით დაკავშირებოდა ბაიდაშვილს.

ადვოკატის მონაცემებით, ზაალ ბაიდაშვილმა ირაკლის აღმოუჩინა პირველადი დახმარება და მიიყვანა სახლში. თუმცა, იოსებ ბარათაშვილი აცხადებს, რომ გამოძიებამ საკმაოდ უცნაურად წარმართა ეს საქმე.

**"მათ, როდესაც ბაიდაშვილი გაჩხრიკეს, აღმოუჩინეს თითქოს ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი კოლოფი, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს ქალაქის პროკურატურაში დასაკითხად,"** - ამბობს ადვოკატი.

ადვოკატის თქმით, ბაიდაშვილმა მისცა ის ჩვენება, რაც რეალურად მოხდა, მაგრამ ქალაქის პროკურატურაში განხორციელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, შანტაჟი; კერძოდ, გამომძიებლები ბაიდაშვილს იმით ემუქრებოდნენ, რომ მას ბრალად დასდებდნენ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებას.

**"ამის შემდეგ, პრაქტიკულად, მან ფსიქოლოგიური ზეწოლის და მუქარის შემდეგ განაცხადა ის, რაც დაფიქსირებულია ფარულ ჩანაწერში, რომელიც მოგვიანებით ტელევიზიით გავრცელდა,"** - აცხადებს ბაიდაშვილის ადვოკატი.

თავად ბაიდაშვილი და მისი ადვოკატი კი აცხადებენ, რომ გუშინწინდელი დაკითხვის ოქმში არაფერი წერია იმის შესახებ, რაზეც პროკურატურის მიერ გავრცელებული ბაიდაშვილის დაკითხვის ვიდეოჩანაწერშია საუბარი.

როგორც გუშინ ბაიდაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, იგი კაკაბაძეზე თავდასხმიდან მეორე დღეს ძალიან დაღლილი იყო და კარგად არც ახსოვს, რა ჩვენება მისცა.

გუშინვე პროკურატურაში უკვე მეოთხე ჩვენების მისაცემად მისულმა ბაიდაშვილმა კიდევ ერთხელ მიუთითა პროკურატურის მიერ გავრცელებული "ვიდეომასალის ფაბრიკაციის" შესახებ.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ირაკლი კაკაბაძემ პროკურატურის გამომძიებლებს იგივე უამბო, რასაც მანამდე ამბობდა - კერძოდ, რომ ბაიდაშვილის სახლიდან გამოსულს მას უცნობი პირები დაესხნენ თავს, თავში ჩაარტყეს და ფული ამოაცალეს; მეტიც, უკვე პროკურატურის გამომძიებლებისთვის ჩვენების მიცემის შემდეგ, ირაკლი კაკაბაძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა:

**"ჩემი მხრიდან თავიდანვე არ ყოფილა მცდელობა იმისა, რომ მომხდარ ფაქტს პოლიტიკური სარჩული დადებოდა. პირველივე წუთებიდან ვამბობდი, რომ ეს კრიმინალური შემთხვევა იყო. ხელისუფლებამ კი მომხდარი პოლიტიკური მიმართულებით თავად წაიყვანა. მინდა, გითხრათ, რომ თუ ხელისუფლება ასე გააგრძელებს და არ შეცვლის აღებულ პოლიტიკურ გეზს, საპასუხო დარტყმას მიიღებს. მათ ჩვენც პოლიტიკურად დავუპირისპირდებით, მიუხედავად იმისა, რომ, ამ შემთხვევაში, ეს აზრადაც არ მომსვლია. მათ პოლიტიკურ დარტყმას მეც პოლიტიკურ ომს გამოვუცხადებ და იმაზეც თანახმა ვარ, ციხეში წავიდე, მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას ასეთი გეგმა აქვს - სურთ ციხეში გამიშვან. მე ამისთვის მზად ვარ, ციხით ვერავინ შემაშინებს."**

რაც შეეხება ზაალ ბაიდაშვილს, რომელიც გუშინ მთელი დღის მანძილზე პროკურატურაში დაკითხვაზე იმყოფებოდა, მას გუშინწინ გაკეთებული ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად სისხლში ჰეროინის შემცველობა დაუდგინდა, რისთვისაც ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა ელის.

ჩვენებები კი, რომლებიც კაკაბაძემ და ზაალ ბაიდაშვლმა გამოძიებას მისცეს, ქალაქის პროკურორის გიორგი ღვინიაშვილის აზრით, აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავია. მისივე თქმით, გამოძიება მიდის იმ დასკვნამდე, რომ მათ არ სურთ, გამოძიებას აცნობონ სინამდვილე. თუმცა, პროკურორი განმარტავს, რომ გამოძიება ინფორმაციას ფლობს და საზოგადოებას აცნობებს, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

**24 საათი**

# ვლადიმერ არუთინიანის მიმართ ქართულ ბრალდებებს ამერიკულიც დაემატა

თბილისში, თავისუფლების მოედანზე 10 მაისს მომხდარ ინციდენტში ბრალდებულ ვლადიმერ არუთინიანს ამერიკის ხელისუფლებამ, ქართველი სამართალდამცველების მსგავსად, ბრალი წაუყენა ტერორიზმისა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშზე, სიცოცხლის ხელყოფის მიზნით, თავდასხმის მუხლებით. ამერიკული მხარე ბრალდებულის ექსტრადაციას, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოში მისი სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მოითხოვს.

არუთინიანს, ქართული კანონდებლობით, ბრალი რამდენიმე მუხლით აქვს წარდგენილი, მათ შორის - ტერორიზმის, განზრახ მკვლელობის, მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება-გამოყენების მუხლებით. არუთინიანი ამჟამად წინასწარ სამთვიან პატიმრობაში იმყოფება. შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ში ექსტრადიცია სურს თავად არუთინიანსაც. თუმცა, რატომ უნდა ამერიკულ ციხეში მოხვედრა, ბრალდებული მიზეზს არ ასახელებს. სამაგიეროდ, გუშინ არუთინიანის ახლმა ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფის კიდევ ერთი მოულოდნელი განცხადება გაავრცელა. ალექსი არქანიას განცხადებით, საქართველოს მოქალაქე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გასამართლდეს და არუთინიანის აშშ-ში ექსტრადიციის მოთხოვნა არარეალურია. გარდა ამისა, არქანიამ გაახმოვანა არუთინიანის აზრი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან და, რომლის მიხედვითაც, არუთინიანი ამერიკაში ექსტრადიციის კატეგორიული წინააღმდეგია. ცნობილი გახდა კიდევ ერთი სიახლეც: ტერაქტში ბრალდებული ვლადიმერ არუთინიანი, მის ხელთ არსებული ინფორმაციის გაცემის სანაცვლოდ, 50 000 დოლარს ითხოვს. როგორც ბრალდებულის ყოფილმა ადვოკატმა გულიკო ჯიმშელაძემ განაცხადა, არუთინიანი ამბობს, რომ იგი მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს, რომელსაც თანხის გადახდის სანაცვლოდ გაამჟღავნებს. ადვოკატმა არ დააკონკრეტა, რას ეხება 50 000 დოლარად შეფასებული ინფორმაცია, თუმცა აღნიშნა, რომ ის ტერაქტს არ უკავშირდება. ჯიმშელიძის განმარტებით, არუთინიანს ეს თანხა დედამისისთვის სჭირდება. ადვოკატის თქმით, ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად მან არუთინიანი ამერიკელებს შეახვედრა, თუმცა მათი გადაწყვეტილება ჯერჯერობით უცნობია. რაც შეეხება თავად არუთინიანს, ბრალდებულის დედის გადაწყვეტილებით, მას ახალი ადვოკატი ჰყავს. გულიკო ჯიმშელაძის ნაცვლად, ტერორიზმში ბრალდებულს ალექსი არქანია დაიცავს. ახალი ადვოკატი ბრალდებულთან ციხის საავადმყოფოში მაშინ მივიდა, როდესაც იქ გულიკო ჯიმშელაძე იმყოფებოდა. ჯიმშელაძის განცხადებით, ანჟელა არუთინიანი თვლის, რომ მის შვილს მამაკაცი ადვოკატი უკეთ დაიცავს, რადგან "ქალს შეიძლება ყველაფერი ვერ გაუმხილოს".

**24 საათი**

# ან კლინიკა, ან ბაზარი

პირველი გვერდიდან

რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფო რიგით მეოცე დაწესებულებაა, რომელიც სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ შეამოწმა. როგორც რეიდების შედეგებმა აჩვენა, თბილისში არსებულ სამედიცინო დაწესებულებების უმეტესობაში საშინელი ანტისანიტარიაა. თბილისის გარდა, შემოწმება მიმდინარეობს რეგიონებშიც. როგორც მესხიშვილი აცხადებს, ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის შემოწმების პირველი ეტაპი დასრულდება. ყველა კლინიკა, სადაც დარღვევები იქნება აღმოჩენილი, 100 ლარის ოდენობის თანხით დაჯარიმდება.

**"შემოწმება ჯანდაცვის მინისტრის დავალებით ხორციელდება. ქვეყნის მასშტაბით, სულ 255 სამედიცინო დაწესებულება უნდა შემოწმდეს. თბილისის მასშტაბით, რეიდებს უშუალოდ მე ვხელმძღვანელობ, რეგიონებში კი ნდობის ფაქტორი ნაკლებია. ეჭვი მაქვს, რომ რაიონებიდან ობიექტური პასუხები არ ჩამოდის. აქედან გამომდინარე, ვგეგმავ, რომ რაიონებშიც ჩემმა კომისიამ ჩაატაროს შემოწმება. არ შეიძლება, კლინიკებში ძეხვის და მაკარონის ცეხები ფუნქციონირებდეს. ან უნდა შევინარჩუნოთ კლინიკა, ან გავხსნათ ბაზარი. რესპუბლიკურ საავადმყოფოში ისეთ უცნაურ შემთხვევასაც წავაწყდით, როდესაც მიმღების გვერდით ავტომობილების პროფილაქტიკური ცენტრი იყო გახსნილი,"** - განაცხადა მესხიშვილმა.

შემოწმება სულ სამ ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე კლინიკის ხელმძღვალნელებს 100 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრებათ. ამასთანავე, გადაეცემათ იმ ღონისძიებების ნუსხა, რომელიც მათ უახლოეს მომავალში უნდა გაატარონ. მეორედ შემოწმების შემთხვევაში, თუკი მდგომარეობა გამოსწორებული არ იქნა, მაშინ ჯარიმა 500 ლარამდე გაიზრდება. მესამე ეტაპი კი 1500-დან 2500-მდე ლარის ოდენობის ჯარიმას გულისხმობს.

**"თუკი რომელიმე კლინიკაში მესამე შემოწმების დროსაც აღმოჩენილი იქნება დარღვევები, მაშინ ჩვენ მათი ექსპლუატაციის შეჩერების საკითხს დავაყენებთ. ჯანდაცვის მინისტრი კი თითოეული მათგანისთვის ლიცენზიის შეჩერებას მოითხოვს. ჩვენ მათგან ელემენტარულ სისუფთავეს მოვითხოვთ და ამ საკითხში უკომპრომისოები ვიქნებით,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას დავით მესხიშვილმა.

# მთავრობა თავის თავს ეწინააღმდეგება

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკას მარეგულირებლების შენახვა 15 მილიონი ლარი უჯდება. როგორც ბენდუქიძე ამბობს, კანონის მიღების შემდეგ მარეგულირებელი ორგანოების შენახვა ბიუჯეტს, სავარაუდოდ, წელიწადში 2-3 მილიონი ლარი დაუჯდება. თუმცა, "განმარტებითი ბარათის" მომდევნო აბზაცში ვკითხულობთ: **"წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებით ასიგნებებს."**

ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ "განმარტებითი ბარათი" ორ ურთიერთგამომრიცხავ მტკიცებულებას შეიცავს. ჩანს, არჩევანი, თუ რომელი მათგანი დაიჯერონ, მთლიანად პარლამენტარებზე და კანონპროექტის ავტორის - სახელმწიფო მინისტრის მიმართ მათ კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული.

გარდა ამისა, კანონპროექტზე ხმამაღლა საუბრისას ჯერჯერობით არავის გახსენებია, რომ შემოთავაზებული ვარიანტის მიღების შემთხვევაში ბიუჯეტი ვეღარ დაიბრუნებს იმ თანხებს, რომელთაც დამოუკიდებელი მარეგულირებლებისგან საშემოსავლო გადასახადის სახით იღებდა. ეს დანაკლისი კი, უხეში გათვლებით, დამატებით 5 მილიონ ლარს მიაღწევს.

სამაგიეროდ, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, რუსული მოდელის მსგავსად, გაძლიერდება სახელმწიფო ვერტიკალი, გაიოლდება ეკონომიკის დარგობრივი მართვა და ქვეყნისთვის საკვანძოდ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სეგმენტებზე ხელისუფლების გავლენა გაიზრდება.

რაც შეეხება საინვესტიციო გარემოს: "24 საათის" მიერ გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მარეგულირებელთა თავისუფლების ხარისხის შეზღუდვით დასავლელი ინვესტორების ინტერესი შემცირდება და საქართველო საინვესტიციოდ მიმზიდველი გახდება მხოლოდ მსგავსი ეკონომიკის მქონე მსოფლიოსთვის, ანუ, პირველ რიგში - რუსეთისთვის.

ამ ვითარებაში, კანონპროექტს სრულ კრახს უწინასწარმეტყველებს პარლამენტარი ზურაბ ცქიტიშვილი.

"24 საათის" კითხვაზე, ხომ არ მიუთითებს სახელისუფლებო გუნდის ეკონომიკურ ბლოკში პრინციპულ განხეთქილებაზე სახელმწიფო მინისტრის დაჟინებული მცდელობა, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებლების საკითხი როგორმე პარლამენტის დღის წესრიგში მოხვდეს, ზურაბ ცქიტიშვილის პასუხი შემდეგი იყო: **"აქ არის პრობლემათა სხვადასხვაგვარი ხედვა. მთავრობა ამბობს, რომ რეგულირების ინსტიტუცია ზედმეტია ჩვენი ეკონომიკისთვის. თუმცა, საბედნიეროდ, პარლამენტს ეს ასე არ მიაჩნია. ორი თვის წინ პარლამენტმა მთავრობას არათუ უკან დაუბრუნა ამ საკითხზე შემოსული კანონპროექტის ვარიანტი, არამედ მიიღო ორი ახალი კანონი, რომელთაგან ერთი - ტრანსპორტის სფეროში არსებული ადმინისტრაციების ერთ დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიად გაერთიანებას ეხება, მეორე კი - ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი სააგენტოს სახელმწიფოს საქვეუწყებო დაქვემდებარებიდან გამოსვლასა და დამოუკიდებელ მარეგულირებლად გადაკეთებას. ამიერიდან საქართველოში ოთხივე დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისია ერთნაირი იურიდიულ-სამართლებრივი და ორგანიზაციული ფორმით იარსებებს და მათი დაფინანსების წყარო იქნება რეგულირების საფასური. ამ კანონს პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა. მაშინ პარლამენტი მიესალმა ამას და მარეგულირებლის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა მოიწონა. როგორ ფიქრობთ, ახლა თავისივე იდეას უღალატებს?"**

# სატრანსპორტო პოლიტიკას მთავრობა მატარებელში ამუშავებს

*გუშინ პრემიერ-მინისტრი, შპს "საქართველოს რკინიგზის" მესვეურები და მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლები, თბილისი-ბათუმის მატარებელში ქვეყნის სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებას ცდილობდნენ. შესაბამისმა კომისიამ მატარებელში 15 საკითხის განხილვა, გზადაგზა კი რამდენიმე რკინიგზის სადგურის დათვალიერება და ერთი ახალგარემონტებული სადგურის გახსნაც მოასწრო.*

დიანა ჩაჩუა



პრემიერ-მინისტრი, მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლები, რკინიგზის წარმომადგენლები და ჟურნალისტები გუშინ გარდაბნიდან ბათუმის მიმართულებით მატარებლით გაემგზავრნენ. ღონისძიების მთავარი მიზანი სარკინიგზო მაგისტრალის მონახულება და რკინიგზისთვის პრობლემური საკითხების განხილვა იყო. ტრანსპორტის პოლიტიკის შემმუშავებელი კომისიის სხდომა მთელი დღის განმავლობაში პირდაპირ მატარებელში მიმდინარეობდა. კომისიამ გზად 15 საკითხის განხილვა მოასწრო, მათ შორის: რკინიგზის და საბაჟოს ურთიერთთანამშრომლობის დეტალების, საინვესტიციო პროექტების, გარდაბნის სადგურის რეკონსტრუქცია-განვითარების პროცესის, ზესტაფონი-ხაშურის სარკინიგზო მონაკვეთის რეკონსტრუქციის, ფოთის სადგურის განვითარების, ბათუმის კვანძის განვითარების, ლიანდაგებისა და საავტომობილო გზების გადაკვეთების მოწესრიგების, რკინიგზის კოდექსში შეტანილ-შესატანი ცვლილებებისა და სხვა.

მთავრობის, რკინიგზისა და მედიის წარმომადგენლებმა გუშინ ბათუმამდე საბჭოური პერიოდის მატარებლით იმგზავრეს. დღეს რკინიგზის ინფრასტრუქტურა, ძირითადად, სწორედ ასეთი მატარებლებით არის დაკომპლექტებული.

როგორც მატარებელში გაირკვა, საქართველოს რკინიგზით ტვირთების გადაზიდვების მოცულობის გაზრდა თავად ამ სახელმწიფო საწარმოსთვის კვლავაც ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად რჩება. ამჟამად რკინიგზის ტვირთბრუნვა ყოველთვიურად 700 ათას ტონას შეადგენს, რაც წელიწადში 24 მილიონ ტონას აღწევს. **"მზად უნდა ვიყოთ, რომ მომავალში ტვირთების მეტი ნაკადის მიღება შევძლოთ. გვინდა, რომ ტვირთბრუნვა სამომავლოდ 35 მილიონ ტონამდე გავზარდოთ,"** - აღნიშნა შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა.

მისივე განცხადებით, მდებარეობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, პირველ რიგში, გარდაბნის, ბათუმის და ფოთის სადგურები გაფართოვდება. **"გარდაბნის სადგურს ისეთი ინფრასტრუქტურა სჭირდება, სადაც საბაჟო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და სხვა სტრუქტურების წარმომადგენლები ისეთი კომპლექსური ოპერაციების განხორციელებას მოახერხებენ, რომ ვაგონები დიდხანს არ ჩერდებოდეს,"** - მოახსენა მთავრობის ეკონომიკურ გუნდს ონოფრიშვილმა.

გუშინვე, კასპში ახლად გარემონტებული რკინიგზის სადგური გაიხსნა. საქართველოს რკინიგზამ კასპის სადგურის რეკონსტრუქციას 2 თვე მოანდომა, სადაც 300 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები ჩაატარა. კერძოდ: მთლიანად აღდგენილია კასპის რკინიგზის სადგურის შენობა, ლიანდაგები და კავშირგაბმულობა. რკინიგზის გენერალური დირექტორის ინფორმაციით, კასპის სადგურის აგვისტოს თვის შემოსავალი 2500 ლარია, მაშინ, როცა გასული წლის ანალოგიური მაჩვენებელი 500 ლარსაც არ აღემატებოდა. **"ჩვენი მიზანი ისეთი გეგმის შექმნაა, რომელიც სულ უფრო მეტ ეკონომიკურ აქტივობას მოგვცემს რკინიგზის სადგურებზე,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა კასპის ახალი სადგურის გახსნის შემდეგ. ნოღაიდელის ინფორმაციით, "საქართველოს რკინიგზა" უახლოეს მომავალში 100-მდე ახალი საინვესტიციო პროექტის განხორციელებას გეგმავს, თუმცა საწარმოს ნორმალური განვითარებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებისთვის რკინიგზას, როგორც ეს დავით ონოფრიშვილმა განაცხადა, 100 მილიონი აშშ დოლარი მაინც ესაჭიროება, რაშიც საქართველოს მთავრობას უცხოური ორგანიზაციების დახმარებისა და მხარდაჭერის იმედი აქვს.

# შეთანხმება არ შედგა

*საქართველო გაზს 2006 წლის 1 იანვრიდან გაზრდილი ფასით მიიღებს. ტრანზიტის საფასური კი, საქართველოს გავლით სომხეთისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებისთვის, ნაღდი ფულით, საერთაშორისო ფასების შესაბამისი ტარიფით იქნება გადახდილი. ამის შესახებ "გაზექსპორტის" გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრე მედვედევმა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს სწორედ იმ შეხვედრისას განუცხადა, რომელზეც "გაზპრომთან" გასაფორმებელი ახალი ხელშეკრულების დეტალებსა და გაზის ტარიფებთან დაკავშირებით "ორი ქვეყნისთვის ურთიერთმისაღებ ვარიანტზე" უნდა ესაუბრათ. თავად რუსული ენერგოგიგანტის "გაზპრომის" თავკაცმა ალექსეი მილერმა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრისთვის "ვერ მოიცალა". ყოველ შემთხვევაში, კომპანიის პრესსამსახურმა საკუთარ ვებგვერდზე ასეთი განმარტება გამოაქვეყნა.*

მაია ურუშაძე

ამჟამად რუსეთი საქართველოს 1000 კუბურ მეტრ გაზს 60 დოლარად აწვდის, სომხეთს კი - 48 დოლარად, როცა ევროპული ფასები, "გაზპრომის" წარმომადგენელთა თქმით, 110 დოლარს შეადგენს.

ახლა რუსული მხარე გადავა გაზის მიწოდების საბაზრო ფასებზე, რომელიც ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. ამასთან, "გაზპრომი" მოითხოვს, სომხეთში ტრანსპორტირება ბუნებრივი აირით აღარ ანაზღაურდეს და მაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფასი იქნეს გადახდილი.

"გაზპრომის" წარმომადგენლები ქართულ მხარეს 2006 წლის 1 იანვრამდე მიმდინარე დავალიანების დაფარვასაც სთხოვენ. ეს დავალიანება რუსული მხარის მიმართ "თბილგაზსა" და "გაზის ტრანსპორტირების კომპანიას" დაუგროვდათ. ეს თანხა, ჯარიმების ჩათვლით, 12 მილიონ დოლარს შეადგენს.

ოფიციალური ვერსიით, "გაზპრომის" გადაწყვეტილება ევროპაში და რუსეთში გაზზე ფასის მომატებითაა გამოწვეული.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მხარემ რუს პარტნიორებს კიდევ ერთხელ შეახსენა საქართველო-"გაზპრომის" ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივების შესახებ, რუსულ ენერგოგიგანტს საუბრის ტონი არ შეურბილებია. შედეგად, საქართველოს ენერგობალანსები მოსკოვში უნდა განიხილონ. ქართულმა მხარემ აიღო ვალდებულება, 19 სექტემბრამდე "გაზპრომს" წარუდგინოს უახლოესი 10 წლის განმავლობაში საქართველოში გაზის მოხმარების ბალანსები და ძველი დავალიანების დაფარვის გრაფიკი. ქართული მხარე 19 სექტემბრამდე "გაზპრომს" იმ ინფრასტრუქტურის პროექტებსაც შესთავაზებს, სადაც აღნიშნული კომპანიის ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს.

მაშინ, როცა "გაზპრომი" - საქართველოსთვის გაზის ერთადერთი უალტერნატივო მომწოდებელი საუბრის ტონს ამკაცრებს, ენერგეტიკის მინისტრი ჯერ ყველაფერს გადაწყვეტილად არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ეს - მხოლოდ დასაწყისია. "რაიმე შედეგი ამ შეხვედრას არ მოჰყოლია. ჩვენ ერთმანეთს ჩვენი მიზნები და სურვილები გავაცანით. მომავალი ორი თვის განმავლობაში კიდევ რამდენჯერმე შევხვდებით და საბოლოო გრძელვადიანი ხელშეკრულებაც მხოლოდ ამის შემდეგ გაფორმდება," - განაცხადა მინისტრმა.

ასევე, რუსეთის მიერ საქართველოსთვის გაზის საფასურის გაზრდაზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და მიანიშნებს, რომ მოლაპარაკებებში, ჯერჯერობით, თავად არ ჩარეულა. "რუსეთთან მოლაპარაკებები ჯერ მხოლოდ ახლა იწყება. ტარიფის გაზრდაზე საუბარი ნაადრევია და ამ ჯერ თემაზე პოლემიკაც არ არის საჭირო," - განაცხადა მან. ნოღაიდელის განმარტებით, ქართული მხარე ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავს რუსულ მხარესთან და იმედი აქვს, რომ "გაზპრომი" გადაწყვეტილებას შეცვლის, რადგან ჯერჯერობით,სს რუსეთს კონკრეტული წინადადებები გაზის საფასურის გაზრდასთან დაკავშირებით ქართული მხარისათვის არ მიუწოდებია.

თუმცა, უკვე ამ ეტაპზე, "გაზპრომმა" საქართველო "ბეჭებზე დადო". საქართველოს ხელთ "გაზპრომთან" სავაჭროდ არსებული ერთადერთი ბერკეტი - სომხეთში გაზის ტრანზიტის თემაც, როგორც ჩანს, დახურულია. იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე ტრანზიტის საფასურის "ქეშით" მიღებას დათანხმდება, "გაზპრომი" სომხეთის მიმართულებით ერთგვარ "უფასო ტრასას" მიიღებს, რადგან "გაზპრომის მიმართ საქართველოს დავალიანება გაცილებით უფრო დიდი ტემპებით იზრდება, ვიდრე ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო შემოსავლები.

დაბოლოს: როცა "გაზპრომი" მის ხელთ არსებულ ყველა პრიორიტეტს გამოიყენებს და საქართველოს გაზის ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას შეუდგება, სატრანზიტო ნაკადების გაკონტროლება ძალიან გაჭირდება.

ვის მოუტანს ამის შემდეგ სიკეთეს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს.

## მოკლედ

### "იუშენკომ ზუსტად იცის, რა უნდა აკეთოს"

უკრაინაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ "უკრაინის პრეზიდენტმა ზუსტად იცის, რა ნაბიჯი გადადგას და ის სწორ გადაწყვეტილებებს იღებს". "მე მაქვს ჩემი მეგობრის ვიქტორ იუშენკოს შესაძლებლობების უკიდეგანო რწმენა. მიმაჩნია, რომ უკრაინასა და ჩვენს რეგიონს ბედმა გაუღიმა, რომ ასეთი კლასის, ასეთი ზნეობის, ასეთი კომპეტენტურობის ლიდერი ჰყავს. ჩვენთვის უკრაინის წარმატება არის გადამწყვეტი, იმიტომ, რომ ეს ქვეყანა საქართველოს მეგობარია, ქვეყანა, რომელშიც ქართველები უყვართ, გვეხმარებიან ყოველდღიურად. მათი სიძლიერე არის ჩვენი სიძლიერე და იუშენკომ ზუსტად იცის, გადამწყვეტ მომენტში რა უნდა აკეთოს," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. **მედიანიუსი**

### "ქართული მხარე ყოველთვის მზად არის დიალოგისთვის"

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს იმედი აქვს, რომ მისი და კოკოითის შეხვედრა 15 სექტემბერს გაიმართება. "თვენახევრის წინ, რუსეთმაც და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობამ ორკესტრირებულად განაცხადეს, რომ 15 სექტემბერს ქართული მხარე რაღაც ოპერაციებს იწყებდა. შეხვედრის ეს თარიღი ჩვენ ამიტომაც შევთავაზეთ ოსეთს," - განაცხადა ნოღაიდელმა და დასძინა, რომ "ქართული მხარე ყოველთვის მზად არის ოსეთთან დიალოგისთვის, რადგან კონფლიქტის მოგვარებისთვის დამატებითი ზომების მიღება ყოველთვის სასარგებლო იქნება," - განაცხადა ნოღაიდელმა. როგორც პრემიერ-მინისტრი აცხადებს, ჯერჯერობით, ოსური მხარისგან პასუხი მიღებული არ აქვს, შედგება თუ არა 15 სექტემბერს მისი და კოკითის შეხვედრა. **ინტერპრესნიუსი**

### მორიგი ლეიბორისტული სენსაცია

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი საწვავის ფასის მომატებაში ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და მისი ოჯახის წევრებს ადანაშაულებს. "საწვავზე ფასების ზრდის მიზეზი ის არის, რომ მსოფლიოს კრიმინალურ ნავთობმაფიოზთა თანავარსკვლავედს, პრეზიდენტ სააკაშვილის ოჯახის სახით, ახალი სეგმენტი შემატა. მისმა ძმამ გიორგი სააკაშვილმა კომპანია "კანარგოს" ხელში ჩაგდებით, ქვეყანაში ნავთობის იმპორტის, ექსპორტის, ტრანზიტის, მოპოვება-გადამუშავებისა და ფასთწარმოქმნის მონოპოლიზება მოახდინა. ჩვენი პარტიის კვლევების საფუძველზე შემიძლია განვაცხადო, რომ ქართული ბაზრის 70 პროცენტი კომპანია "კანარგოს" უჭირავს, ხოლო დანარჩენ 30 პროცენტსაც ის აკონტროლებს," - განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა. ლეიბორისტულმა პარტიამ თხოვნით მიმართა ოპეკის ქვეყნებს, განიხილონ ნავთობის ბიზნესში მიხეილ სააკაშვილის საქმიანობა. თავის მხრივ, კომპანია "კანარგოს" დირექტორის მოადგილე გია ითონაშვილი უარყოფს ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის განცხადებას, თითქოს "კანარგო" მიხეილ სააკაშვილის ოჯახის მფლობელობაშია. "შალვა ნათელაშვილის განცხადება აბსოლუტური აბსურდია. "კანარგო" ღია სააქციო საზოგადოებაა, რომლის აქციებიც ნიუ-იორკის ბირჟაზეა განთავსებული. ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეამოწმოს, თუ ვის ეკუთვნის აქციები," - განაცხადა გია ითონაშვილმა. მისივე განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ძმა გიორგი სააკაშვილი კომპანია "კანარგოში" მართლაც მუშაობს; ის კომპანიის ერთ-ერთ განშტოებაში - "კანარგო კორპორეიშენის" წარმომადგენლობაში რიგითი თანამშრომელია და მას აქციებში არანაირი წილი არ აქვს. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** საქართველოს პრეზიდენტი სამცხე-ჯავახეთიდან აჭარაში ჩავიდა. მიხეილ სააკაშვილი აჭარაში მეუღლესთან და შვილთან ერთად იმყოფება. გუშინ პრეზიდენტმა, ლევან ვარშალომიძესთან ერთად, ბათუმი-ქობულეთის საავტომობილო გვირაბის მშენებლობა მოინახულა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენხანს დარჩება პრეზიდენტი აჭარაში. პარალელურად, პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა, ჯემალ ინაიშვილთან ერთად, სამშობიარო სახლი მოინახულა, შემდგომ აჭარის ჯანმრთელობის მინისტრს შეხვდა. დღის ბოლოს კი შიდსის ცენტრი გაიხსნა, რომელსაც პრეზიდენტთან ერთად სანდრა რულოვსიც დაესწრო. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი**. ცხინვალში კოსტა ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრის აღდგენის პროექტების შემუშავებაში რუსეთის სამშენებლო კომპანიები მონაწილეობენ.

"ჩვენ უკვე მოგვმართეს წინადადებებით ჩრდილო ოსეთის კომპანიებმა, რომლებიც თეატრის მშენებლობის ორიგინალურ პროექტებს გვთავაზობენ, თუმცა ჩვენთვის მთავარია, ახალ თეატრს ნაციონალური, ტრადიციული სახე ჰქონდეს," - აცხადებს სეპარატისტული ხელისუფლების მშენებლობისა და არქიტექტურის კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი კოკოევი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი**. ოთხი გატაცებული ქართველის ძებნასთან დაკავშირებით შექმნილმა ერთობლივმა ქართულ-ოსურმა საგამოძიებო ჯგუფმა მუშაობა განაახლა. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი მიხეილ მინძაევი აცხადებს, რომ მხარეთა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს, რომელზეც აღნიშნული დანაშაულის გახსნის გეგმა განიხილეს. "ოთხი გატაცებული ქართველის ძებნა გრძელდება, მაგრამ დღეიდან გამოძიება უფრო ორგანიზებული იქნება," - აცხადებს მინძაევი. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# გორდიას კვანძის გახსნა უკრაინის სახელით



ლეხ ვალენსა: შეუძლებელია დემოკრატიის აშენება და საჭირო რეფორმების გატარება "ერთი ნახტომით", არაჩვეულებრივი ადამიანების ერთი ჯგუფით

### რადიკალური ნაბიჯები კრიზისიდან გამოსასვლელად

უკრაინის "რევოლუციურ" ხელმძღვანელობაში რომ დიდი ხანია, განხეთქილებაა, ეს არავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს. თუმცა, გარდაუვალი კონფლიქტის სახე მან მხოლოდ რამდენიმე დღის წინ, ოლეგ ზინჩენკოს განცხადებების შემდეგ შეიძინა.

გასულ შაბათს უკრაინის სახელმწიფო მდივანმა იუშენკოს უახლოესი გარემოცვა კორუფციაში ღიად დაადანაშაულა და თანამდებობა დატოვა. ზინჩენკოს მთავარი ბრალდება უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ხელმძღვანელის პეტრო პოროშენკოს მისამართით გაისმა.

სახელმწიფო მდივნის პოსტზე ზინჩენკო უკრაინის პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული კანდიდატურა იყო. პოროშენკოსთან დაპირისპირების შემდეგ აშკარა გახდა, რომ ხელისუფლებიდან უნდა წასულიყო ან პრემიერ-მინისტრი ან უშიშროების საბჭოს მდივანი.

ვითარების განმუხტვა სწორედ ხუთშაბათს იყო მოსალოდნელი. შაბათიდან მოყოლებული უკრაინის პრეზიდენტი საკუთარი ადმინისტრაციის დახურულ თათბირებს მართავდა. თათბირებში მონაწილეობდა ორი უმთავრესი კონკურენტიც - პრემიერ-მინისტრი ტიმოშენკო და უშიშროების საბჭოს მდივანი პოროშენკო. გუშინდელი მოვლენები ცხადჰყოფს, რომ იუშენკოს სრულიად ახალი აღმასრულებელი გუნდის შექმნა აქვს განზრახული.

ტიმოშენკოს მთავრობის გადაყენების შესახებ ჟურნალისტებს პრეზიდენტმა თავად აცნობა. იუშჩენკოს განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება "გუნდური სულისკვეთების" არარსებობითა და სახელისუფლებო ორგანოებს შორის არსებული კონფლიქტით იყო გამოწვეული. **"დღეს, რაც უნდა მძიმე იყოს ეს ჩემთვის, უკრაინის სახელით უნდა გადავჭრა გორდიას კვანძი**, - განაცხადა ვიქტორ იუშენკომ ჟურნალისტების წინაშე, - ... **აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის პირველ ადგილზე საკუთარი თავის, პოლიტიკური ძალის, პოლიტიკური პოზიციის "პიარი" აღმოჩნდა. დარწმუნებული ვარ, ამას ბოლო უნდა მოეღოს. მე ვხედავ, რომ ზოგიერთი მოხელე იმდენად გაერთო "პიარით", რომ პროდუქტიული საუბრისთვის დრო აღარ რჩება. კამერების გარეშე, მათ ცხოვრება ვეღარ წარმოუდგენიათ"...**

სწორედ ამიტომ, უკრაინის პრეზიდენტი რადიკალურ ნაბიჯებს დგამს. **"ხელს ვაწერ ბრძანებულებას მთავრობის, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივნის გადადგომის შესახებ", -** ხმამაღლა აცხადებს უკრაინის პრეზიდენტი და იქვე დასძენს, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია საშიში პოპულიზმისგან თავის დასაღწევად.

გამოსვლისას პრეზიდენტმა არ გამორიცხა უკრაინის კიდევ ორი უმნიშვნელოვანესი თანამდებობის პირის - გენერალური პროკურორის სვიატოსლავ პისკუნისა და ეროვნული უშიშროების სამსახურის უფროსის ალექსანდრ ტურჩინოვის გადადგომა. იუშენკომ განაცხადა, რომ ამ ორი თანამდებობის პირის მიმართ დამატებით გაიმართება კონსულტაციები. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ თანამდებობას დატოვებს ტურჩინოვიც.

### გადადგომათა სერიალი

მთავრობის გადაყენებას წინ უსწრებდა სკანდალის მთავარი გმირების - პეტრო პოროშენკოსა და ალექსანდრ ტრეტიაკოვის წასვლა პოსტებიდან.

უკრაინის ეროვნული უშიშროების და თავდაცვის საბჭოს მდივნის პეტრე პოროშენკოს გადადგომის შესახებ გუშინ დილითვე გახდა ცნობილი. პოროშენკოს განცხადებით, მან ეს გადაწყვეტილება მიიღო, რათა არავის მისცეს საფუძველი, ამტკიცოს, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი სამსახურებრივ მდგომარეობას გამოძიებაზე ზეწოლისთვის იყენებს.

**"პატიოსნების და ღირსების შენარჩუნება ჩემთვის უმთავრესი ფასეულობაა, უფრო მაღალი, ვიდრე - ნებისმიერი თანამდებობა",** - ნათქვამია პოროშენკოს განცხადებაში.

თითქმის იმავდროულად, გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა უკრაინის ვიცე-პრემიერმა, ტიმოშენკოს გუნდის წევრმა, ნიკოლაი ტომენკომ. კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე ტომენკომ თავისი გადაწყვეტილება ხელისუფლების ორგანოებში არსებული კორუფციით ახსნა.

თანამდებობიდან გადადგომა ითხოვა უკრაინის სახელმწიფო მატერიალური რეზერვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ ბოიკომაც, რომელმაც შესაბამისი განცხადება პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს სახელზე დაწერა. უკრაინის შს სამინისტრომ წინა დღეს ჟურნალისტებს აცნობა, რომ ბოიკო და კომიტეტის სხვა ჩინოვნიკები ეჭვმიტანილები არიან ეკონომიკურ დანაშაულში, რის შედეგად სახელმწიფომ 20 მილიონი გრივნა იზარალა.

### პოპულიზმიდან რეალური საქმის კეთებამდე

**"ჩვენ უნდა ჩავაცხროთ საზოგადოების უკმაყოფილება, რათა დავარწმუნოთ, რომ (ნარინჯისფერი რევოლუციის) იდეალები კითხვის ქვეშ არ დამდგარა", -** აცხადებს ვიქტორ იუშენკო და, ამ მიზნით, ახალი მთავრობის ფორმირებას 57 წლის იური ეხანუროვს ავალებს.

დნეპროპეტროვსკის ოლქის გუბერნატორი რეფორმატორ ტექნოკრატრად არის მიჩნეული. იგი, დიდი ხანია, სახელმწიფო სამსახურშია და სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა ლეონიდ კუჩმას მმართველობისას. მას იუშენკოს პრემიერ-მინისტრობის პერიოდში ვიცე-პრემიერის თანამდებობაც ეკავა. პოლიტიკური ამბიციების არმქონე ეხანუროვის კანდიდატურა დღევანდელ ეტაპზე საუკეთესო გამოსავალია პრეზიდენტ იუშენკოსთვის. თუმცა, მის დასამტკიცებლად უმაღლეს რადაში პრეზიდენტს დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

ზოგიერთი მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ეხანუროვი მხოლოდ დროებითი ფიგურაა და მისი დანიშვნა აუცილებელი გახდა მომავალი წლის მარტში დაგეგმილ არჩევნებამდე ვნებათაღელვის გასანელებლად. თავად იუშენკოს თქმით, ახლა მთავარია, უმაღლესი სახელმწიფო ინსტიტუტები გუნდური პრინციპით მუშაობდნენ - ხალხი გრძნობდეს, რომ ხელისუფლებაში თანხმობა და ჰარმონიაა, ხოლო სახელმწიფოში - სიმშვიდე და სტაბილურობა.

### მთავარია, კიევში "ძალიან ბევრი შეცდომა არ დაუშვან"

ბუნებრივია, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები გუშინ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. თუმცა, წამყვან სახელმწიფოთა ლიდერები უკრაინაში შექმნილი სიტუაციის შეფასებისას, შეიძლება ითქვას, ზედმეტად ფრთხილობდნენ..

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის აზრით, არ არის საჭირო უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ზედმეტი დრამატიზება. **"უკრაინაში ვითარებას პრეზიდენტი აკონტროლებს. მე ახლახან ვესაუბრე პრეზიდენტ იუშენკოს. არ მოვახდენდი იმ მოვლენების დრამატიზებას, რაც უკრაინაში ხდება. ქვეყანა განვითარების არცთუ იოლ პერიოდს განიცდის",** - განაცხადა ბერლინში მყოფმა პუტინმა.

იუშენკოს მხარდაჭერა დააფიქსირა ევროკავშირმაც. თუმცა, ბრიუსელში შიშიც გამოთქვეს, რომ, შესაძლოა, პროცესებმა უკონტროლო ხასიათი მიიღოს. ევროკომისიის პრესასთან ურთიერთობის დირექციის წარმომადგენელმა ემა უდვინმა იმედი გამოთქვა, რომ უკრაინის ხელისუფლება, ვიქტორ იუშენკოს ხელმძღვანელობით, გააგრძელებს დაპირებული რეფორმების გზით სიარულს, ისევე, როგორც უზრუნველყოფს ქვეყანაში სტაბილურობას.

ვითარების დრამატიზებისაგან თავის შეკავებას არჩევს პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკიც. მისი თქმით, უკრაინაში მომხდარი "არ წარმოადგენს რაიმე უჩვეულო მოვლენას". **"ეს არის ჩვენთვის, პოლონელებისთვის კარგად ნაცნობი რთული პროცესების გამოვლინება, რომელიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ ტრანსფორმაციას უკავშირდება",** - განაცხადა პოლონეთის ლიდერმა.

ჯერჯერობით შეფასებებისგან თავს იკავებენ მსოფლიოს სხვა ლიდერები. გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ **"უკრაინას სრული უფლება აქვს, არჩევანი თავად გააკეთოს".** ასეთივე განცხადებები გააკეთეს "ნარინჯისფერი უკრაინის" როგორც გულშემატკივარმა (მაგალითად, ევროკავშირი, ლიტვა), ასევე - არცთუ მეგობრულად განწყობილმა (ბელარუსი) ქვეყნებმა.

ერთი რამ აშკარაა - უკრაინის მოვლენებმა თვალსაჩინო გახადა სისტემური კრიზისი. სხვათა შორის, ამაზე საუბრობდა თავად იუშენკოც - **"მართალია, ხელისუფლებაში ბევრი ახალი სახე გამოჩნდა, მაგრამ პარადოქსია, რომ ხელისუფლების სახე არ შეცვლილა. ქვეყანას კვლავაც ადანაშაულებენ კორუფციაში; ბრალს სდებენ, რომ ეკონომიკური პროცესები (მათ შორის, პრივატიზაციის) გამჭვირვალედ არ მიმდინარეობს".** ასეთ პირობებში, ცხადია, ხელისუფლების ძველი ნომენკლატურული სისტემა კიდევ არაერთ კრიზისს გამოიწვევს. ამ სისტემის შენარჩუნებით, სავარაუდოდ, იუშენკო ხელისუფლებაში დარჩენას ვერ მოახერხებს. თუმცა, მისი შეცვლაც, შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს მისი პოლიტიკური კარიერისთვის. მაგრამ, გარდაქმნების შემთხვევაში, იგი თანამოქალაქეების მადლიერებას ნამდვილად დაიმსახურებს.

საგულისხმო იყო ახალი, დემოკრატიული ევროპის ერთ-ერთი ფუძემდებლის პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის ლეხ ვალენსას კომენტარი გუშინდელ მოვლენებთან დაკავშირებით: **"შეუძლებელია დემოკრატიის აშენება და საჭირო რეფორმების გატარება "ერთი ნახტომით", არაჩვეულებრივი ადამიანების ერთი ჯგუფით".** ვალენსას თქმით, **ახლა მთავარია, კიევში "ძალიან ბევრი შეცდომა არ დაუშვან".** თუმცა, "სოლიდარნოსტის" ლიდერმა ისიც დასძინა, რომ **"რამდენიმე შეცდომა, ალბათ, გარდაუვალია...და აქ არაფერი გაეწყობა".**

# პოლონეთი რუსეთ-გერმანიის შეთანხმებით უკმაყოფილოა

პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი უკმაყოფილოა გერმანიის გადაწყვეტილებით, პოლონეთის გვერდის ავლით, ხელი მოაწეროს რუსეთთან შეთანხმებას ბალტიის ზღვის ფსკერზე გაზსადენის გაყვანის შესახებ. კვასნევსკის განცხადებით, ბერლინმა გადაწყვეტილება პოლონეთთან ან ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან კონსულტაციის გარეშე მიიღო. ოფიციალური ვარშავა შიშობს, რომ, პოლონეთის გვერდის ავლით, გაზსადენის გაყვანა საშუალებას მისცემს რუსეთს, პოლონეთი გაზის და ნავთობის გარეშე დატოვოს პოლიტიკური მოტივით. 2004 წელს - ევროკავშირში შესვლის დროიდან, ვარშავა აქტიურად ცდილობს, დაარწმუნოს ევროპის სხვა ქვეყნები რუსეთის მიმართ შეთანხმებული პოლიტიკის გატარების აუცილებლობაში.

პოლონეთი, ისევე, როგორც ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, მთლიანად რუსულ გაზსა და ნავთობზეა დამოკიდებული; თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კომუნისტური სისტემის დამსხვრევის დროიდან მოსკოვსა და ვარშავას შორის ურთიერთობა ასეთი დაძაბული არასოდეს ყოფილა, საკმაოდ ბევრი ეჭვის საფუძველიც იქმნება; კერძოდ, პოლონეთში ბევრი შიშობს, რომ რუსეთმა, შესაძლოა, შური იძიოს ვარშავის მიერ უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციისადმი მხარდაჭერის გამო.

დაბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, ხუთშაბათს ბერლინში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა და გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჩრდილოევროპული გაზსადენის მშენებლობის შესახებ.

# ამომრჩეველთა სიები - ტრადიციული პრობლემა

პირველი გვერდიდან

ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, შუალედურ არჩევნებში ამომრჩეველმა "დიდი აქტიურობა გამოიჩინოს", თუ სიებში მხოლოდ მათ შეიყვანენ, ვინც წინასწარი რეგისტრაცია გაიარა.

ჯერჯერობით, ოპოზიცია ამომრჩეველთა სიების შესახებ დუმს. ამ ეტაპზე ოპოზიციონერებისთვის სიებზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი პრაიმერია. როგორც გუშინ გაირკვა, წინასწარი არჩევნები ღია ცის ქვეშ გაიმართება - საქმე ის არის, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა ოპოზიციურ პარტიებს ამ არჩევნების გასამართად შესაბამისი ფართი არ გამოუყვეს. აქედან გამომდინარე, ოპოზიციამ ასეთი ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო:

**"17 სექტემბრის პრაიმერული არჩევნები ღია ცის ქვეშ - სკვერებში და ბაღებში გაიმართება, რადგან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოპოზიციას შენობები არ დაუთმო. კონკრეტული მისამართები დაზუსტდება და ორ დღეში გამოქვეყნდება,"** - განაცხადა "კონსერვატორმა" კახა კუკავამ. მისივე თქმით, ოპოზიცია პრაიმერისთვის დაფინანსებას შემოწირულობებით აგროვებს, ხოლო გახარჯული თანხა შეჯამდება და საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნდება. ოპოზიციონერები ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ, ვინ დააფინანსებს პრაიმერს, თუმცა მაინც გვპირდებიან, რომ მათი ვინაობა საზოგადოებისთვის პრაიმერის გამართვის შემდეგ გახდება ცნობილი.

# დავალიანებები იმაზე მეტია, ვიდრე ფინანსთა სამინისტრო ვარაუდობდა

პირველი გვერდიდან

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ძველი პერიოდის საბიუჯეტო დავალიანება დღეისათვის 202 მილიონ ლარს შეადგენს. ამაში შედის სახელფასო დავალიანება და ის სხვა ვალდებულებები, რომელთა შესრულება სახელმწიფომ 2003 წლამდე ვერ მოახერხა. ფინანსთა სამინისტრომ გასულ წელს ასეთი სახის ვალდებულებებიდან 255 მილიონი ლარი გაისტუმრა, მიმდინარე წელს კი - 56 მილიონი ლარი. გოცირიძის განცხადებით, დარჩენილი დავალიანება ეტაპობრივად დაიფარება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ასევე განაცხადა, რომ "ტყიბულნახშირის" ხელმძღვანელობამ თანამშრომლების ხელფასები მთავრობასთან შეუთანხმებლად გაზარდა, რის გამოც გაიზარდა ხელფასზე მიბმული რეგრესული პენსიის ოდენობაც.

**"ბიუჯეტიდან უკვე გასტუმრებულია 2,5 მილიონი ლარის ოდენობის რეგრესული პენსიების დავალიანება. თუმცა, მეშახტეთა ხელფასების ზრდამ, პენსიის ზრდაც გამოიწვია, რამაც ბიუჯეტს დამატებით 3,5 მილიონი ლარის ვალდებულება დააკისრა,"** - განაცხადა გოცირიძემ.

მისი თქმით, ამჟამად "ტყიბულნახშირის" ხელმძღვანელების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დავა მიმდინარეობს, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილება ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოსთან შეუთანხმებლად იქნა მიღებული. **"მთავარი ის არის, რომ გაზრდილი ხელფასები თანამშრომლებს არ ურიგდებათ. თუ ასე გაგრძელდა, რეგრესულ პენსიაში არსებული დავალიანებების დაფარვა საერთოდ ვერ დასრულდება,"** - განაცხადა გოცირიძემ.

ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე მიიჩნევს, რომ ამგვარი სახის გადაწყვეტილებები ცალმხრივად არ უნდა იქნას მიღებული და ერთიანი მიდგომაა საჭირო.

გუშინვე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილემ ზურაბ დეკანოსიძემ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ერთიანი სახელფასო პოლიტიკის შემუშავების მიზნით შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივა წარმოადგინა. "საჯარო მოხელის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი ერთიანი თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრას ითვალისწინებს.

**"სახელმწიფო სტრუქტურაში მომუშავე თანაბარი კვალიფიკაციის მქონე პირებს ერთიან პრინციპზე დაფუძნებული თანამდებობრივი სარგო უნდა ჰქონდეთ. კანონპროექტის მიხედვით, სარგოს ზედა და ქვედა ზღვარს პრეზიდენტი განსაზღვრავს. ხოლო თავად სარგოს ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილება თითოეული სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელს მიენიჭება,"** - განაცხადა დეკანოსიძემ. მისივე თქმით, აღნიშნული ცვლილება არ ეხება მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთა თანამდებობრივ სარგოს ცალკე კანონი განსაზღვრავს.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა აღნიშნულ კანონპროექტს მხარი დაუჭირა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ აღნიშნა, ერთნაირი კვალიფიკაციის მქონე თანამდებობის პირებს ერთი ხელფასი უნდა ჰქონდეთ. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტმა შენიშვნა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროსაც გამოთქვა.

გუშინვე, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტმა ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი განიხილა. ცვლილებების თანახმად, საქართველოს მიმდინარე წლის ბიუჯეტი 26 მილიონი ლარით გაიზრდება, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებზე გადანაწილდება. კერძოდ, დაფინანსება გაეზრდებათ განათლების, კულტურის, ჯანდაცვის, თავდაცვის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებსა და საზღვრის დაცვის დეპერტამენტს.

ასევე, აღნიშნული თანხით დამატებით დაფინანსდება ცენტრალური საარჩევნო კომისია და პრეზიდენტის რწმუნებულების აპარატები.

პარლამენტის აგრარული კომიტეტის წევრები კი სოფლის მეურნეობის მინისტრის მუშაობას სწორედ აღნიშნული ცვლილებების პროექტის გამო აკრიტიკებდნენ. დეპუტატთა ნაწილის უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ 26 მილიონი ლარიდან, რომლითაც სახელმწიფო ბიუჯეტი იზრდება, სოფლის მეურნეობის სფეროსთვის არაფერია გათვალისწინებული. კანონმდებლების აზრით, როგორც ჩანს, მინისტრი მთავრობის სხდომებზე დარგის პრიორიტეტებზე არ საუბრობს. ისინი აცხადებენ, რომ ფრაქციასა და კომიტეტში ამ საკითხზე სარიოზული საუბარი ექნებათ.

დეპუტატებმა სოფლის მეურნეობის იმ ცალკეულ დარგებზეც ისაუბრეს, რომლის დაფინანსებაც, გაზრდილი ბიუჯეტის პირობებში, აუცილებელი იქნებოდა.

დეპუტატ ზურაბ ცქიტიშვილის განცხადებით, აუცილებელია სპეციალური სასაკლაოების შექმნა, რათა მოსახლეობა უვარგისი საქონლის ხორცის რეალიზებისგან დავიცვათ. მისივე თქმით, ათი რეგიონული სასაკლაოს გახსნა პრობლემას მოხსნიდა, რისთვისაც ნახევარი მილიონი ლარი საკმარისია. იგი მიიჩნევს, რომ კერძო სექტორისთვის ეს მიმართულება მომგებიანი არ არის და ამიტომ ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

პარლამენტარმა არნოლდ ჟვანიამ კი წყალდიდობების შედეგად ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობაზე ისაუბრა. ჟვანიას განცხადებით, მართალია, წინა წლებთან შედარებით, სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი გაიზარდა, მაგრამ ეს სოფლის მეურნეობას ჯერჯერობით არ ეტყობა.

კომიტეტის გუშინდელ სხდომას სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობიდან არავინ დასწრებია.

**24 საათი**

# ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატის თეორიები და ექსპერიმენტები

გიორგი ასანიშვილი

ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატის, გოჩა ფიფიას მტკიცებით, ქვეყანაში ტოტალიტარიზმი მძვინვარებს. მისი თქმით, საპარლამენტო ოპოზიციის წევრთა თვალთვალმა და სატელეფონო მოსმენებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. პარლამენტარს, თურმე, ასეთი ექსპერიმენტიც კი ჩაუტარებია: მეგობართან მობილურ ტელეფონზე საუბრის დროს "შეთანხმებულა", რომ იარაღის პარტიას შეიძენდა. დეპუტატსა და მის მეგობარს დათქმულ ადგილზე სამართალდამცავები დადგომიან თავს, რომლებსაც ვერანაირი იარაღი, რა თქმა უნდა, ვერ უპოვიათ.

გოჩა ფიფია ტოტალიტარიზმის გამოვლენად მიიჩნევს იმასაც, რომ **"საქართველოში კლანური მმართველობა მკვიდრდება."** თავისი "თეორიის" გასამაგრებლად, მაჟორიტარი დეპუტატი იმ ფაქტს ასახელებს, რომ ბაჩო ახალაია სახალხო დამცველის მოადგილეა, მისი ძმა დათა ახალაია - კონსტიტუციური უსაფრთხოებისა და კანონიერების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ხოლო მათი მამა როლანდ ახალაია - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სამხარეო პროკურორი. ფიფია კლანურ კონტექსტში პარლამენტის თავმჯდომარისა და უშიშროების საბჭოს მდივნის გვარებსაც ახსენებს.

**"ასეთ კლანურ მმართველობას მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ,"** - შეწუხებულია პარლამენტარი.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გოჩა ფიფია მიხეილ სააკაშვილსაც გადაწვდა. **"პრეზიდენტი ხალხს თანამდებობაზე კომპეტენტურობის კი არა, სისასტიკის გათვალისწინებით ნიშნავს,"** - აცხადებს ოპოზიციონერი დეპუტატი.

როგორც ცნობილია, სულ ცოტა ხნის წინათ გოჩა ფიფია აფხაზეთში გადასვლას და ქართველებისა და აფხაზების შესარიგებლად სერიოზული ნაბიჯების გადადგმას აპირებდა. თუმცა, ირკვევა, რომ დეპუტატს მდინარე ენგური ჯერ არ გადაულახავს.

**"ამ შემთხვევაში შეიძლება, საქართველოს ხელისუფლება პროვოკაციაზე წავიდეს, ჩემზე თავდასხმა მოაწყოს და ეს აფხაზებს გადააბრალოს,"** - ხელისუფლების ბოროტი ზრახვები გოჩა ფიფიას დროულად ამოუცნია.






## თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი ქურშად თუზმენი თურქ ბიზნესმენთა თანხლებით საქართველოს ესტუმრება

2005 წლის 13-14 სექტემბერს თურქეთის სახელმწიფო მინისტრის ქურშად თუზმენის ხელმძღვანელობით საქართველოში იგეგმება სავაჭრო დელეგაციის ვიზიტი. ვიზიტის მიზანია, თურქულ-ქართული სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ორი ქვეყნის ბიზნეს წრეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება, აგრეთვე რეგიონში ახალი სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობების განვითარება

სავაჭრო დელეგაციის პროგრამაში ძირითადად მონაწილეობას მიიღებენ საკვები პროდუქტების, სამშენებლო მასალების, საყოფაცხოვრებო ნივთების, მანქანა დანადგარების (შესაფუთი, ტექსტილის, საკვები და ა.შ.), ტექსტილისა და მზა ტანსაცმლის, საავტომობილო მრეწველობისა და გადაზიდვების სექტორში მოღვაწე თურქულ ფირმათა 100-ზე მეტი წარმომადგენელი.

P ხსენებული ვიზიტის ფარგლებში მოეწყობა სემინარი თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ. Aაგრეთვე გაიმართება თურქ და ქართველ ბიზნესმენთა ორმხრივი შეხვედრები.

**13 სექტემბერი, 2005**
09:30-10:00 რეგისტრაცია
10:00 - 12:30 სემინარი თემაზე: "თურქეთ საქართველოს სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის განვითარება".
14:00 - 18:00 ფირმათა ორმხრივი შეხვედრები.

**14 სექტემბერი 2005**

10:00 - 12:30 ფირმათა ორმხრივი შეხვედრები.

სემინარისა და ორმხრივი შეხვედრების მოწყობის ადგილი:
**Hotel Courtyard Marriott**

**ცნობისათვის მოგვმართეთ:**
თურქეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში

მის: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ: 35
ტელ: (995 32) 25 12 89
(995 32) 25 13 36
ფაქსი: (995 32) 25 12 98

BR

**საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ!**

**გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის მიერ ავტოტრანსპორტის დარგში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი ჯარიმების გადახდა შესაძლებელია ბანკ "რესპუბლიკის" ყველა ფილიალში.**

**ბანკ "რესპუბლიკის" ფილიალების მისამართებია:**

**დელისის ფილიალი**
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (99532) 312161, 312181
ფაქსი: (99532) 312161
ელფოსტა: info@delisi.republic.com.ge

**სადგურის ფილიალი**
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (99532) 911117, 911118, 237043
ფაქსი: (99532) 911117, 911118
ელფოსტა: info@sadguri.republic.com.ge

**გლდანის ფილიალი**
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (99532) 590770, 590880
ფაქსი: (99532) 590660
ელფოსტა: info@gldani.republic.com.ge

**სამტრედიის ფილიალი**
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740
ელ-ფოსტა: info@samt.republic.com.ge

**ზუგდიდის ფილიალი**
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08
ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N1**
თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 13
ტელ: (995 32) 294598, 294599
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: scenter1@republic.com.ge

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N2**
თბილისი, საერთაშორისო აეროპორტი
ტელ: (995 32) 433181
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: ap1@republic.com.ge

**ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N3**
თბილისი, ფალიაშვილისი ქ. 33ა
ტელ: (995 32) 912237, 912238, 912239, 912240
ფაქსი: (995 32) 912241
ელფოსტა: info@republic.com.ge

**გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N1**
თბილისი, ლუბლიანას ქ. 18/20
ტელ: (995 32) 261629, 517047
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

**გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N 2**
თბილისი,დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
ტელ: (995 32) 531951, 531952
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

**თელავის სერვისცენტრი**
თელავი, ნადიკვარის ქ. 13
ტელ: (995 250) 75608, 75607
ელფოსტა: info-telavi@gldani.republic.com.ge

**გორის სერვისცენტრი**
გორი, მოსკოვის ქ. 1
ტელ: (995 270) 70780
ელფოსტა: info-gori@gldani.republic.com.ge

**ზუგდიდის სერვისცენტრი**
ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. 1
ტელ: (995 215) 51982

ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08
**რუსთავის სერვისცენტრი**
მშენებელთა ქ. 21
ელფოსტა: info-rustavi@gldani.republic.com.ge

## განცხადება

2005 წლის 19 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ ობიექტზე "შავიზღვისპირა (ფოთი-ანაკლია-პირველი ხორგა) და კოლხეთის დაბლობის ინტენსიუტად ათვისებული ტერიტორიის 1:10 000 მასშტაბის არსებული ტოპოგრაფიული რუკების განახლება 1942 წლის კოორდინატთა სისტემიდან UTM-ის კოორდინატთა სისტემაში გადაფორმება და ციფრული სახით წარმოდგენა".

1 სექტემბერს ჩატარებული ღია ტენდერის კომისიის სხდომაზე გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია "ლკნ".

გამარჯვებულ პრეტენდენტთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვაზე თანხით 64.7 ათ. ლარი.

*სატენდერო კომისი*

# როგორ გადავარჩინოთ უნივერსიტეტი

პირველი გვერდიდან

საქართველოს "უნივერსიტეტის" სახელის მქონე უმაღლესი სასწავლებელი? ან, როგორ არის ეს რეფორმა შეთანხმებული საქართველოში ცოდნის ორგანიზებული წარმოების მთელ კომპლექსთან? ამ შეკითხვებზე არათუ პასუხი, არამედ მათი წარმომქმნელი საერთო პრობლემაც კი ჯერ საზოგადოებრივად განცხადებული არ არის. თავად პრობლემას კი **უნივერსიტეტის იდეის**, **ანუ მისი არსის** გაურკვევლობა წარმოქმნის. ეს წერილი სწორედ ამ არსის გარკვევას ეხება. ამ საკითხში სრული სიცხადის შეტანის გარეშე კი რეფორმის პროცესში პრინციპულად შეუძლებელია არა მხოლოდ უნივერსიტეტის იდეის გადარჩენა, არამედ გაცილებით უფრო ფართო პრობლემის - საქართველოში განათლებისა და მეცნიერების რეფორმის - სალი და ეფექტური გადაწყვეტა.

### რა არის უნივერსიტეტი?

მკითხველს მორიდებით რამდენიმე უდავო ფაქტს შევახსენებ: უნივერსიტეტი ევროპული ცივილიზაციის პროდუქტი, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია; იმ კულტურულ მოვლენათა შორის, რომლებმაც ჩვენი ცივილიზაციის დღევანდელი სახე განაპირობა, უნივერსიტეტის ადგილი უნიკალურია. ამასთანავე, ევროპული ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში სოციალური და პოლიტიკური ძვრები უნივერსიტეტზეც ახდენდა დიდ გავლენას, ხშირად ამახინჯებდა მის არსსა და არსებობის ჯანსაღ ფორმას. ამ მხრივ, XX საუკუნე განსაკუთრებულად "გამოირჩა". სადღეისოდ ეს არსი ადამიანთა გაუგებარი ნებით, უმეცრობით წარმოქმნილი მრავალი დანალექი ფორმის ქვეშ ღრმად ჩაიმარხა. ამიტომ უნივერსიტეტის თანამედროვე სახიდან მისი ისტორიულად განსაზღვრული იდენტურობის რეკონსტრუქციისათვის სწორედ ამ ისტორიული განვითარების გზის გააზრებაა აუცილებელი.

უნივერსიტეტის წარმოქმნა განათლებისკენ სწრაფვის იმ საოცარი ენთუზიაზმის შედეგია, რომელმაც XI საუკუნის ჯერ კიდევ ბარბაროსულ ევროპაში განსაკუთრებული ძალით იფეთქა; ამ დროს უკვე ფართოდ იქმნება საეკლესიო სკოლები, რაც უნივერსიტეტის გაჩენის წინაპირობა აღმოჩნდა. XII საუკუნის დასაწყისში ინტელექტუალური ძალისხმევის უკვე მთელი რიგი გამოკვეთილი სფეროები (გამომცემლობა, კოლექციონირება, მოვლენათა და საგანთა კლასიფიკაცია) სწავლების ცენტრების შექმნის საფუძველი ხდება. ამ ცენტრებში მთელი საქრისტიანოდან თავს იყრის ყველა, ვისაც ინტელექტუალური წყურვილი არ ასვენებს. ბოლონიისა და პარიზის ცენტრები, იქ თავმოყრილ სწავლულთა გამორჩეული თვისებების გამო, განსაკუთრებით მიმზიდველი ხდება. ბოლონიაში მოწაფეები, პარიზში კი მასწავლებლები თავისუფალ ასოციაციას - universitas - ქმნიან (იმ დროს ასე იწოდებოდა ყოველგვარი ლეგალური ასოციაცია; დღევანდელი შინაარსით კი იგი მხოლოდ შუა საუკენეების ბოლოს დამკვიდრდა).

ცოდნისაკენ სწრაფვა და განათლების სიყვარული უნივერსიტეტის წარმოქმნის მხოლოდ ერთი ზოგადი პირობა იყო, უნივერსიტეტის უნიკალური შინაარსის ფორმირებაში კი გადამწყვეტი როლი წარსულის ინტელექტუალური მემკვიდრეობით უკმაყოფილო თაობათა ძალისხმევამ შეასრულა: უკვე დაგროვილ ცოდნაში (განსაკუთრებით - სამართლისა და საღვთო სწავლების სფეროებში) შინაგან ლოგიკურ წინააღმდეგობათა გაცნობიერება მოხდა. როგორც ეტყობა, სწორედ ამაში მდგომარეობს ევროპული სულიერი ცხოვრების გამორჩეულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი - **იგი არ ეგუება საკუთარ იდეალსა და რეალობას შორის შეუთანხმებლობას, არ თანხმდება ასეთ რეალობაში ყოფნას და დაუკმაყოფილებლობის ეს განცდა ამ რეალობის გარდაქმნისაკენ უბიძგებს!** დღეს ძნელია იმის დადგენა, თუ როგორ შეიძინა ამგვარმა ძალისხმევამ ინტელექტუალური მიმართულება; ან რატომ გამოვლინდა ეს ფენომენი ასე ძლიერ სწორედ ევროპელის ცნობიერებაში, როგორც არსებულის და ჩვეულებად ქცეულის ახალი თვალით დანახვის განსაკუთრებული უნარის ლოგიკურად აუხსნელი გამოვლინება.

შუასაუკუნეების ევროპის სულიერი ატმოსფერო ამ ძალისხმევის ძირითად მასაზრდოებელს წარმოადგენდა. ამ ატმოსფეროს ჩამოყალიბებაზე ანტიკური ინტელექტუალური მემკვიდრეობის გავლენა უდიდესი იყო. ეს განსაკუთრებით პლატონის ფილოსოფიას ეხება. კერძოდ, იგი ადამიანთა ყოფით მოსაზრებასა და პრაქტიკული ცხოვრების ცოდნას მკაფიოდ მიჯნავდა იმისაგან, რასაც მან იდეათა, ანუ, მოვლენათა და საგანთა პირველსაწყისი პრინციპების სამყარო უწოდა. იდეათა ეს სამყარო გახდა ფილოსოფოსთა (აკადემიური) შემეცნებითი სწრაფვის საგანი. ცხოვრებისეული პრაქტიკული ცოდნის და ფილოსოფოსთა აკადემიური ცოდნის მკაფიო, პლატონისეულმა გამიჯვნამ ევროპული აზროვნების შემდგომ განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია; იგი ევროპული უნივერსიტეტის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ამასთანავე, ამ ეპოქაში რელიგიური რწმენისა და იდეათა ცოდნისაკენ სწრაფვის ენთუზიაზმი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება; ფილოსოფოსი, რომელიც შორდება პრაქტიკულ რეალობას და აზროვნების საშუალებით "წმინდა იდეათა" ცოდნისაკენ ისწრაფვის იმ ქრისტიან ბერს ჩამოჰგავს, რომელიც უფლის სამსახურში ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვაში წუთისოფელს განერიდება; როგორც აკადემიური ცოდნის, ასევე რწმენის სფერო პრაქტიკული ცხოვრებისაგან ერთნაირად დაშორებულად და ღმერთთან თანაბრად ახლოს მყოფად მოიაზრება, ხოლო უნივერსიტეტი ცოდნის ამ იდეალური სამყაროს პროფესიულ მსახურთა "ტაძრად" ყალიბდება. მას ის ადამიანები აარსებენ, რომელთათვის ანალიტიკურმა მჭვრეტელობამ, დიალექტიკის სიყვარულმა და ჭეშმარიტების ძიებამ თავისთავადი ღირებულება შეადგინა, მათი ცხოვრების აზრი და საქმიანობის შინაარსი მთლიანად განსაზღვრა.

ქრისტიანულმა კულტურულმა გარემომ "ცოდნის ძიება მხოლოდ თავად ცოდნისათვის" შესაძლებელი გახადა. XI-XII საუკუნის ფეოდალურ ევროპაში ადამიანთა თავისუფალი ასოციაციების ჩამოყალიბების ფართო შესაძლებლობა უნივერსიტეტის ინსტიტუციურად გაფორმების გადამწყვეტი პირობა გახდა. ამ დროს უნივერსიტეტის პრესტიჟი, რომელიც ცოდნის მიმართ საერთო თაყვანისცემას ეფუძნება, განუზომლად დიდია, ხოლო ევროპა უკვე საკმაოდ მდიდარია, რათა აკადემიური საქმიანობისათვის სახსრები გაიღოს. ასე ყალიბდება უნივერსიტეტი, მხოლოდ ცოდნის წყურვილით შეკავშირებულ ადამიანთა თავისუფალი ასოციაცია, პრაქტიკის მოთხოვნათაგან დისტანცირებული, აზროვნებითა და საქმიანობით სრულიად ავტონომიური.

უნივერსიტეტის სრულ აკადემიურ თავისუფლებაზე საზოგადოების მხრიდან შეტევის ტენდენცია XV საუკუნიდან ჩნდება. ამ პერიოდში ევროპის არისტოკრატიამ მიიჩნია, რომ სამეფო კარზე მის სიძლიერეს მისი განათლებულობა განსაზღვრავს. ამან განათლებას არა მხოლოდ "ცოდნით გონების გაჩირაღდნების", არამედ "ცხოვრებისათვის მომზადების" ახალი მიწიერი ფუნქციაც შესძინა. განათლების მიმართ მოთხოვნა დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ როგორი ცხოვრებისთვის ემზადებიან და სასარგებლოდ როგორ ცოდნას მიიჩნევენ. XVII საუკუნეში ევროპის ტექნოლოგიური განვითარების პერსპექტივის გაცნობიერებამ უნივერსიტეტი საზოგადოების კიდევ უფრო ძლიერი პრაგმატული ინტერესების სფეროში მოაქცია, მისგან უკვე პრაქტიკული ცოდნა მოითხოვეს. უნივერსიტეტი ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობებით გატაცებულ ინტელექტუალთა შეტევის ობიექტი გახდა (თავად ლეიბნიცმაც კი აკადემიურ ცოდნას გაკილვით "განდეგილების ერუდიცია" უწოდა). შემდგომ, XVIII-XX საუკუნეებში, ევროპული სახელმწიფოების ცენტრალურ ხელისუფლებათა გაძლიერებამ ქვეყნის განვითარების მიზნისათვის მისი ყველა ინსტიტუტის (მათ შორის - უნივერსიტეტის) საქმიანობის უშუალო დაქვემდებარების დოქტრინა წარმოშვა. მიუხედავად ამისა, ევროპის ლიბერალური ძალები, რომელთაც კარგად ესმოდათ ქვეყანაში ინტელექტუალური და პოლიტიკური კულტურის განვითარებისათვის უნივერსიტეტის აკადემიური დამოუკიდებლობის გადამწყვეტი მნიშვნელობა, ამ მდგომარეობის დაცვას მაინც ახერხებდნენ.

უნივერსიტეტის იდეის სრული პროფანაცია, მასში აკადემიური თავისუფლებისა და, შესაბამისად, განათლების კულტურის დეგრადაცია მხოლოდ ტოტალიტარულმა რეჟიმებმა მოახერხეს. "კადრების სამჭედლოს" ინდუსტრიამ "პრაქტიკის მოთხოვნის" და "სოციალური დაკვეთის" ზემოდან თავსმოხვეული ფუნქციით უნივერსიტეტის აკადემიური სულისკვეთება შთანთქა და დაამახინჯა. პოლიტიკური იდეოლოგია, მისი ლოზუნგი - "განათლება ყველას!", პირველ ყოვლისა, უნივერსიტეტის "მავნე ელიტარიზმს" დაუპირისპირდა. უნივერსიტეტი მაქსიმალურად შეივსო აკადემიური საქმიანობისათვის გამოუსადეგარი ადამიანებით; არააკადემიური მოსაზრებებით სტუდენტების მიღება ასეთივე მასობრივ პრაქტიკად გადაიქცა. ამგვარი სამწუხარო გამოცდილება საქართველოსაც მოეპოვება.

### აკადემიური ცოდნისა და პრაგმატული ცოდნის შესახებ

აკადემიური ცოდნის სფეროსა და პრაქტიკული ცხოვრების ცოდნის სფეროებს შორის მიჯნის გაცნობიერებას ადამიანის ინტელექტუალური ცხოვრების შემეცნებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. გასაგები გახდა, რომ ადამიანის ინტელექტუალური ცხოვრება ერთგვაროვანი არ ყოფილა; თურმე, არც ჩვენი სამყაროს შესახებ ცოდნაა ერთი ტიპის; ცოდნის ზრდისათვის მისი წარმოების ინტენსიფიცირება ყოფილა საჭირო; ადამიანის პრაქტიკულ ეფექტურობას და პრაქტიკული ცოდნის განვითარებას, თურმე, მხოლოდ აკადემიური ცოდნის განვითარება უზრუნველყოფს; და რომ სხვადასხვა ტიპის ცოდნის წარმოებას განსხვავებული ინსტიტუციური პირობები სჭირდება. შესაბამისად, ჩამოყალიბდა შემეცნებისა და განათლების ინსტიტუტთა ორი პარალელური შტო: ერთი - სამყაროში მარადიულისა და უნივერსალურის აკადემიური წვდომისაკენ მსწრაფი გრამატიკის სკოლები და უნივერსიტეტები; მეორე - უწყვეტად ცვლადი პრაგმატული სოციალური მოთხოვნებისათვის გამიზნული, სპეციალიზირებული ცოდნით აღჭურვილი ტექნიკური სკოლები და პოლიტექნიკური (სამედიცინო, აგრონომიული და სხვა) ინსტიტუტები. ამით დაპირისპირება - "აკადემიურობა და არაეფექტურობა", თუ "პრაქტიკულობა და ეფექტურობა" - საბოლოოდ მოიხსნა.

ძირითადი აკადემიური შეკითხვაა: როგორ არის სამყარო მოწყობილი (ალბერტ აინშტაინის შეკითხვა)? პრაქტიკული ცოდნის სფეროსთვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა შეკითხვა: როგორ მოვარგო ეს სამყარო ჩემს პრაგმატულ მიზნებს (თომას ედისონის შეკითხვა)? ეს განსხვავება შეგვიძლია სხვანაირადაც გავიაზროთ: აკადემიურ სფეროში ცოდნა ძირითადად მისი ჭეშმარიტებით ან სიმცდარით ფასდება; პრაქტიკულ სფეროში კი შეფასების ძირითადი კრიტერიუმი ცოდნის ეფექტურობაა; თუმცა ეფექტური ცოდნა, აკადემიური თვალსაზრისით, შესაძლოა მცდარიც კი იყოს (მაგალითად, ის წარმოდგენა, რომ დედამიწა ბრტყელია, ადამიანს სივრცეში გადაადგილების მრავალი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტაში მხოლოდ ეხმარება). დიდად გავრცელებული ილუზიაა აკადემიურობას რაციონალობასა, ან ინტელექტუალობასთან აიგივებს. სინამდვილეში აკადემიური შემეცნება ინტელექტუალურია, მაგრამ ინტელექტუალური შრომის უდიდესი წილი (მაგალითად, ინჟინრის შემოქმედება) აკადემიური არ არის. აკადემიური აზრის თავისუფალ მოძრაობას თუ არაფერი არ ზღუდავს, პრაქტიკული ადამიანის აზროვნება, ობიექტურად, მისივე პრაგმატურლი ინტერესით არის შეზღუდული.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული, ეფექტური და სამართლიანი სოციალური წყობის მშენებლობის ყველა ტექნოკრატიულ პროექტში საზოგადოება ერთიანი მიზნით შეკრული სისტემის, ანუ "სოციალური ორგანიზმის" სახით მოიაზრება. შესაბამისად, ამგვარ აზროვნებას საზოგადოებაში მოქმედი ყველა ინსტიტუტი ამ საერთო მიზნის მომსახურე სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებლად ესახება. მხოლოდ მოგვიანებით, უკვე ჩვენს დროში, გახდა ნათელი საზოგადოებაზე ამგვარი "ორგანიზმული" შეხედულების სიმცდარე. საზოგადოება სისტემა არ არის, იგი ადამიანთა გაცილებით უფრო თავისუფალი შინაგანი წყობის ერთობაა; შესაბამისად, მას არც ერთიანი სისტემური მიზანი აკისრია; საზოგადოების ჯანსაღი არსებობა და ეფექტური განვითარება მასში ისეთი ინსტიტუტების არსებობასაც მოითხოვს, რომელთაც არა აქვთ (და პრინციპულად არც შეიძლება ჰქონდეთ) ამ ერთიანი "სოციალური ორგანიზმის" მომსახურე რაიმე ფუნქცია. ამგვარ ინსტიტუტებს მხოლოდ მისია გააჩნიათ - ისინი ღირებულებებს ემსახურებიან და ამით (სურთ მათ ეს, თუ არა) ქვეყანაში ამ ღირებულებებს ამკვიდრებენ. ასეთია ეკლესია, თეატრი, კონსერვატორია; უნივერსიტეტიც ასეთია! ეს მისიონერული ინსტიტუტები იმ ადამიანთა შემოქმედების სფეროა, რომელთათვის რწმენის სამსახური, მშვენიერების ქმნა, შემეცნება - ღირებულია ამ პროცესის არა შედეგით, არამედ ეს შემოქმედებითი პროცესია თავისთავადი ღირებულების მქონე. მისი არსი სამყაროს საკუთარი ხედვისა და გაგების გამოხატვაში, თვითრეალიზაციაში მდგომარეობს (ბ. პასტერნაკი: "Цель творчества самоотдача..."). ამ ინსტიტუტებში მიმდინარე ცხოვრება უწყვეტი დიალოგია, აქ საბოლოო სიტყვას არ ამბობენ, აქ რწმენას მხოლოდ რწმენისათვის, ხელოვნებას - ხელოვნებისათვის, მეცნიერებას - მეცნიერებისათვის ემსახურებიან.

ერთი შეხედვით შეიძლება პარადოქსულიც კი იყოს, მაგრამ, როდესაც საზოგადოება ასეთ "უმიზნო და უფუნქციო" ინსტიტუტებს არსებობის საშუალებას უქმნის და მათ ავტონომიას იცავს (შუა საუკუნეების მსგავსად), ქვეყანაში მოქმედი ყველა სხვა ინსტიტუტი სწორედ მაშინ ეფექტურად ფუნქციონირებს, პრაგმატული ცოდნა განსაკუთრებით აქტიურად და ეფექტურად სწორედ ამგვარ ატმოსფეროში ვითარდება. საზოგადოებრივი კულტურის ეს "უმიზნო და უფუნქციო" ინსტიტუტები ქმნიან იმ კულტურულ გარემოს (ამაზე სპეციალური ზრუნვის გარეშე), რომელშიც ყველა სხვა მიზანმიმართული ინსტიტუტი ზნეობრივი, პროფესიული, სამართლიანი ხდება. აქ აღარც კორუფცია არსებობს, როგორც საზოგადოებრივი დაავადება; შესაბამისად, **უნივერსიტეტში კორუფცია არ მძვინვარებს არა პოლიციელთა კორდონით დაცული ერთიანი ეროვნული გამოცდების წყალობით, არამედ იგი აღარ არსებობს, იმიტომ რომ არ არსებობს!**

ყველაფერი ზემოთქმული უფრო იდეალია. სადღეისოდ, განვითარებულ ქვეყნების თითქმის ყოველ უნივერსიტეტს პრაგმატული მიზნის მქონე სხვადასხვა ორგანიზაციული მინაშენი მოეპოვება, რაიმე სპეციალიზირებული კოლეჯის, სკოლის, ან ინსტიტუტეს სახით. მიუხედავად ამისა ყოველი უნივერსიტეტის საფუძველში უნივერსიტეტის იდეის ძირითადი ნიშნები მყარადაა გასაგნებული. თანამედროვე მსოფლიომ კარგად იცის, რომ ინსტიტუციურად დაცული "განდეგილთა ერუდიცია" ქვეყნის განვითარების აუცილებლობაა. უნივერსიტეტის ჯანსაღი ფუნქციონირება რეალურად დაცულია მხოლოდ პლურალისტულ საზოგადოებაში, სადაც თავისუფალი ინიციატივის მრავალი ცენტრი არსებობს, რომლებიც ერთობლივად ამ დამოუკიდებლობის დაცვის მექანიზმს ქმნიან. აქ, ლიბერალური სულისკვეთების წარმოქმნისა და განმტკიცების უმნიშვნელოვანესი წყარო თავად უნივერსიტეტია. სწორედ ამიტომ, მისი ავტონომიური არსებობის რესურსს საზოგადოება შეგნებულად გამოყოფს, ხოლო უნივერსიტეტის იდეას, მის შემოქმედებით თავისუფლებას და ავტონომიურ სტატუსს სახელმწიფო იცავს.

### როგორ გადავარჩინოთ თბილისის უნივერსიტეტი?

ევროპის კულტურულ გარემოში უნივერსიტეტის გაჩენა შემთხვევით ისტორიულ მოვლენათა მთელმა წყებამ განაპირობა ისე, რომ მისი ინსტიტუციური შინაარსი წინასწარ არავის ჩაუფიქრებია. მაგრამ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი უკვე გაჩნდა და დამკვიდრდა, შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის იდეის, ანუ მისი იდენტურობის ფუნდამენტური ნიშნების ამოკითხვა. ამ იდენტურობას კი ორი ძირითადი პირობა განსაზღვრავს: 1. უნივერსიტეტში ინტელექტუალური ცხოვრების (აკადემიური) შინაარსი და 2. მასში შინაგანი ორგანიზაციის ფორმა (სრული ავტონომია).

"უნივერსიტეტის იდეა" საქართველოსთვის უცნობი არ არის. პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელ მამებს ეს იდეა ღრმად გათავისებული ჰქონდათ. ჯერ კიდევ 1917 წელს, ასაბუთებდა რა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობას, ივანე ჯავახიშვილი წერდა: "არც ერთ ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება... თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული"; და კიდევ - "მეცნიერებას კი მუდმივი დაუცხრომელი მსახურნი და ქურუმნი სჭირია...". დღევანდელი გადასახედიდან საოცრად მოჩანს, თუ როგორ მოახერხეს სრულიად არალიბერალურ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში ჩვენმა მამა-დამფუძნებლებმა აკადემიური სულის "დაუცხრომელ მსახურ ქურუმთა" უნივერსიტეტის დაარსება და ჯანსაღი განვითარება. დღეს კი, "თბილისის უნივერსიტეტის გადარჩენა" მასში უნივერსიტეტის იდეის აღორძინებას ნიშნავს. ამისათვის ეს იდეა უნივერსიტეტის ინსტიტუციურ წყობაში ადეკვატურად უნდა აისახოს.

დღეს თბილისის უნივერსიტეტის რეფორმატორები საქმეს სრულიად უნაყოფო და, პროფესიული თვალსაზრისით, პრინციპულად მცდარი მხრიდან - ორგანიზაციული გარდაქმნით შეუდგნენ. ძნელია სოციალური ინსტიტუტის გარდაქმნის იმაზე უფრო მავნე მიდგომის მოფიქრება, როდესაც ამ ინსტიტუტის არსში (მის იდეაში) გარკვევის, წინა თაობათა ნამოღვაწარის გააზრებისა და რეფორმის მიზანდასახულობის საჯაროდ გაცნობიერების გარეშე ხდება მისი ახალი ორგანიზაციული ფორმის შეკოწიწება, როგორც ჩანს, იმ იმედით, რომ შემდეგ ამ ფორმაში, ოდესმე და თავისთავად, რაღაც ჯანსაღი შინაარსი დაიბუდებს. ასეთი მიდგომით მივიღებთ მხოლოდ ახალ "სამოსელში გამოწყობილ" ძველ შინაარსს და არა მის თვისობრივ ცვლას, ანუ პროგრესს. ორგანიზაციული ფორმა შინაარსის მხოლოდ არსებობის პირობაა, იგი ამ შინაარსითაა მთლიანად განსაზღვრული და არა პირიქით. ხოლო როდესაც ინსტიტუციური რეფორმის წამყვანი ფაქტორი ეს ფორმა ხდება, ამ ინსტიტუტს ეშმაკები ეპატრონებიან. არ არსებობს ბუნების ისეთი კეთილი კანონი, რომელიც ჩვენი უმეცრობის შედეგებისაგან დაგვიცავს.

ეს წერილი "უნივერსიტეტის გადარჩენის" კონკრეტული რეკომენდაციის გაცემას არ ისახავს მიზნად. თბილისის უნივერსიტეტის რეფორმის პრობლემა ამგვარ ღონისძიებათა შერჩევაში როდია. **ამ რეფორმის პრობლემა - რეფორმის მეთოდოლოგიურ გაუმართაობაში, ამ პროცესის გააზრების მცდარ ფორმაში მდგომარეობს.** ასეთ პირობებში კი, ყოველი კონკრეტული ორგანიზაციული ღონისძიება გარდუვალად არა მხოლოდ არაეფექტური, არამედ მავნე შედეგების მომტანიც იქნება. ამ გარემოებაზე ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღების გამახვილება - ამ წერილის მიზანია. **უნივერსიტეტის რეფორმის არსი და ძირითადი ამოცანა უნივერსიტეტის ისეთი ინსტიტუციური ფორმის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს, რომელშიც უნივერსიტეტის იდეა ადეკვატურად იქნება ასახული.** პროფესიული თვალსაზრისით, სწორედ ამაშია ამ რეფორმის განხორციელების ძირითადი ინტელექტუალური და პოლიტიკური სირთულე.

ე.კანტი განათლებას "ცოდნით გონების გასხივოსნებას" უწოდებდა. ამგვარად მოაზრებულ განათლებას მხოლოდ ერთეულები ესწრაფვიან და თუ იგი სხვა, ცხოვრებისათვის სასარგებლო (უმრავლესობისათვის სასურველ) ცოდნაში იქნება აღრეული, მივიღებთ ინსტიტუციურად დამახინჯებულ სიტუაციას. უნივერსიტეტი არ არის ხელობის დაუფლების ადგილი; აქ ადამიანები, რომელთაცც მოწოდებად შემეცნებითი ინტერესების სამსახური ქცევიათ, მათ რეალიზაციას ახდენენ. გარდა ამისა, აკადემიური აზრით, "სწავლა" - შემეცნების ობიექტის გადააზრებას გულისხმობს. ამდენად, საუნივერსიტეტო სწავლება მხოლოდ ლექტორის სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის ჩვენში დამკვიდრებული ფორმა როდია, იგი თავად ლექტორის აკადემიური შემოქმედების ერთ-ერთი ფორმაც არის. ეს გარემოება სასწავლო ლექციას უნივერსისტეტში უაღრესად სპეციფიკურ საგანმანათებლო-შემეცნებით პროცესად აქცევს. ამ მდგომარეობის ადეკვატური ინსტიტუციური ასახვა უნივერსიტეტის რეფორმის უმნიშვნელოვანესი საკითხია.

უნივერსიტეტის ჯანსაღი რეფორმირება ქვეყნის ინტელექტუალურ ცხოვრებაში ჩართულ ყველა სხვა ინსტიტუტთა როლებისა და ფუნქციების ერთიანად გადააზრებას და ურთიერთშეთანხმებას მოითხოვს. ამ ინსტიტუტთა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რეფორმირების მცდელობით რეალური პოზიტიური შედეგის მიღწევა მეთოდოლოგიური ილუზიაა. ამდენად, **ქართული საზოგადოების წინაშე რეალურად არა თბილისის უნივერსიტეტის გადარჩენის (რომელიც, რასაკვირველია, გადასარჩენია!), არამედ ქვეყანაში მაღალორგანიზებული ცოდნის წარმოების მთელი კომპლექსის - სასკოლო განათლების, უმაღლესი პროფესიული განათლების, საუნივერსიტეტო განათლების, მეცნიერებათა აკადემიის - ანუ ქვეყნის მთელი ინტელექტუალური ცხოვრების შინაარსის ერთიანი გადააზრების პრობლემა დგას**.

თანამედროვე განვითარებულ მსოფლიოსთან ინტეგრირებული თანაცხოვრება საქართველოს სტრატეგიული არჩევანია. ინტეგრირება საერთაშორისო შრომის დანაწილებაში (მათ შორის, ინტელექტუალური ცხოვრების სფეროშიც) არსებით ჩართვას გულისხმობს. საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, თუ ქვეყნისათვის რა აუცილებელ ფუნქციებს ასრულებს იგი თავად, ხოლო სხვათაგან რის და როგორი ფორმით აღებას აპირებს. ჩვენისთანა მცირე (და ღარიბი) ქვეყნისთვის ამგვარი მიდგომა გარდუვალი აუცილებლობაა. ამდენად, **უნივერისტეტის რეფორმის პრიორიტეტები ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გადაწყვეტილებებით უნდა იქნას განპირობებული!** მხოლოდ ამის საფუძველზე უნდა განისაზღვროს, თუ რა კონკრეტული შინაარსით შეივსოს უნივერსიტეტი; და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება უნივერსიტეტის ამ შინაარსის ადეკვატური შინაგანი ორგანიზაციის ფორმის განსაზღვრა. **თანამედროვე პოლიტიკური აზროვნებისათვის საზოგადოების ფუძემდებელ ინსტიტუტთა რეფორმის სხვა მიდგომა უცნობია!**

ეს ამოცანა შეიძლება გადაწყდეს, თუკი ქართული საზოგადოება მიიჩნევს, რომ სადღეისოდ ქვეყანას განათლებაზე უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პრობლემა არ გააჩნია და, შესაბამისად, არც მოვლენათა განვითარების პასიურ მაყურებლად დარჩება. ამ საზოგადოებას უკანასკნელი ათწლეულის გამოცდილებითაც კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზაც კეთილი სურვილებითაა მოკირწყლული. **ქვეყნის განვითარებისათვის უნივერსიტეტის ბედი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი არ შეიძლება მთლიანად ბიუროკრატიას ვანდოთ!**

# მუსიკის მსახურის სულისკვეთება

ნათია ვადაჭკორია

"მისი საქმე არ არის კლავიატურაზე ქარიშხლის ატეხვა თავის მოსაჩვენებლად. არავის შეუძლია უარყოს ხელოვანის უსაზღვრო ვირტუოზობა, მაგრამ მოცარტის საფორტეპიანო დო-მაჟორულმა კონცერტმა ინტერპრეტატორის მგრძნობიარობითა და დაკვრის ნატიფი კულტურით მოიგო.

ამ შესრულების მთავარი იდეა, უპირველეს ყოვლისა, კონცერტის ნაწილების ჯადოსნურად სათუთ და თითქმის ფილიგრანულ დამუშავებაში იდო. დარბაზში ირხეოდა სიყვარულით სავსე, მელოდიური დეტალების ერთობლიობით შექმნილი ბგერათა პოეზია..."

ეს სიტყვები გერმანულ გაზეთ Pforheimer Zeitung-ში გამოქვეყნებულ ეკეჰარდ ულიგის რეცენზიიდანაა და ეძღვნება პიანისტ ანანო გოკიელს, რომელმაც ინგოლშტატის ქართულ კამერულ ორკესტრთან ერთად ეშელბრონის მუსიკალურ ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა.

რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ანანო გოკიელი თავის შემოქმედებაზე და ევროპულ მუსიკალურ სამყაროზე გვესაუბრება:

- 2003 წლის ოქტომბერში საქველმოქმედო ფესტივალ Musik Fur die Erde-ს ჩარჩოებში ინგოლშტატის ქართულ კამერულ ორკესტრთან ერთად მივიღე მონაწილეობა, რომელიც ქალაქ ეშელბრონში, იოჰანესჰაუზის საფესტივალო დარბაზში გაიმართა. ფესტივალი თვეზე მეტხანს გრძელდებოდა და მასში მრავალი ქვეყნის მუსიკოსები მონაწილეობდნენ. ქართულ კამერულ ორკესტრს დირიჟორობდა მარკუს პოშნერი. სამწუხაროდ, სულ ერთი ერთობლივი რეპეტიცია იყო ჩვენთვის გათვალისწინებული, ამის მიუხედავად, კონცერტმა კარგად ჩაიარა. შევასრულე მოცარტის მე-13 დო-მაჟორული საფორტეპიანო კონცერტი, მეორე განყოფილებაში აჟღერდა სულხან ნასიძის მესამე კამერული სიმფონია და ჩაიკოვსკის "ფლორენციული სუვენირი". ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე ამ მაღალპროფესიულ ორკესტრთან ერთად დაკვრით, რომელიც კარგი ევროპული რეპუტაციით სარგებლობს.

**- ცოტა რამ თქვენი შემოქმედების შესახებ. რას მოღვაწეობთ უცხოეთში?**

- თბილისში მუსიკალური ათწლეულის დამთავრების შემდეგ პირდაპირ შოტლანდიაში, ქალაქ გლაზგოში გავემგზავრე, ვინაიდან მუსიკისა და დრამის სამეფო აკადემიაში სწავლის შესაძლებლობა მომეცა. 2002 წლის ზაფხულში ბაკალავრის დიპლომი მივიღე. ჩვენი აკადემია ჯერ კიდევ 1890 წელს დაარსდა და დღეს თანამედროვე სამუსიკო სასწავლებლის ყველა მოთხოვნას პასუხობს. სხვა მხრივაც დიდი გასაქანი გვაქვს - რეგულარულად იმართება მასტერკლასები, რომელთა ჩასატარებლად მსოფლიოს მოწინავე კონსერვატორიებიდან ცნობილ პროფესორებს იწვევენ, კონცერტები გამოჩენილი მუსიკოსების მონაწილეობით, ეწყობა კონკურსები. მოგეხსენებათ შოტლანდიელთა პატრიოტიზმის ამბავი და ეს დამოკიდებულება სასწავლებელშიც მჟღავნდება. ერთგვარი ქიშპიც კი იგრძნობა ლონდონისა თუ მანჩესტერის ანალოგიურ დაწესებულებებთან. საშემსრულებლო პრაქტიკის დიდი ასპარეზი მაქვს. ორი წლის მანძილზე თერთმეტჯერ მივიღე მონაწილეობა აკადემიაში ჩატარებულ კონკურსებზე, აქედან რვაჯერ მოვიპოვე პირველი და ორჯერ - მეორე პრემიები.

ყველაზე დიდ წარმატებას ლონდონში მივაღწიე: 2001 წლის დეკემბერში გავიმარჯვე ბეთჰოვენის საერთაშორისო საზოგადოების მიერ მოწყობილ კონკურსზე (ოქროს მედლის გარდა მაყურებელთა სიმპათიის პრიზიც გადმომეცა), ხოლო 2003 წლის აპრილში, უოტფორდის მუსიკის ფესტივალზე, კრისტოფერ დიუკის მემორიალურ კონკურსზე პირველი პრემია მოვიპოვე.

კონკურსები ჩემთვის არცთუ ისე საყვარელი, მაგრამ მუსიკოსის კარიერისთვის აუცილებელი ფორმაა. კონცერტებზე დაკვრა კი მართლა ძალიან მიყვარს. საბედნიეროდ, აკადემია ფართო საკონცერტო ასპარეზს სთავაზობს თავის საუკეთესო სტუდენტებს. მქონდა დასამახსოვრებელი სოლო კონცერტები ლონდონში, პიკადილის სენტ-ჯეიმსსა და ტრაფალგარის მოედანზე მდებარე სენტ-ენდრიუსის უნივერსიტეტში, სადაც, სხვათა შორის, უფლისწული უილიამი სწავლობდა. კონცერტი გავმართე ასევე გლაზგოს უნივერსიტეტის დიდ დარბაზში.

ძალიან მიყვარს კამერული მუსიკა და ყოველთვის სიხარულით ვუკრავ სხვა მუსიკოსებთან ერთად. აკადემიის სტუდენტებისგან შემდგარ "ლამონდ ანსამბლთან" ერთად მონაწილეობა მივიღე ჰალიფაქსისა და ჰემადენ ბრიჯის ხელოვნების ფესტივალზე. გარდა ამისა, ვუკრავ დუეტში ბერძენ ჩელისტ ანგელოს ლიაკიკისთან ერთად - 2003 წელს ორი კონცერტი გავმართეთ ათენსა და დრამაში.

**- რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენს შემოქმედებაში შოტლანდიაში ყოფნის პერიოდში?**

- შოტლანდიაში სამი წელი გავატარე. დავამთავრე შოტლანდიის მუსიკისა და დრამის სამეფო აკადემია, მივიღე მაგისტრის ხარისხი წარჩინებით. აკადემიამ წარმადგინა თავის კანდიდატად ლონდონის სამუსიკო საზოგადოების წინაშე, რომელსაც ჰქვია "The Worshipful Company of Musicians". მათ დამასახელეს დიდი ბრიტანეთის 2004 წლის საუკეთესო სტუდენტად მუსიკოსთა შორის. ამასთან, მომანიჭეს ვერცხლის მედალი, როგორც დიპლომში იყო აღნიშნული - For Outstsnding Achievement (განსაკუთრებული წარმატებებისათვის). გარდა ამისა, შოტლანდიის სამეფო აკადემიამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო: დამაჯილდოვა 5000 გირვანქა სტერლინგიანი გრანტით, რათა ჩემი არჩევანისამებრ გამეგრძელებინა სტაჟირება ნებისმიერ კონსერვატორიაში, ნებისმიერ პედაგოგთან.

**- თქვენ ვისზე შეაჩერეთ არჩევანი?**

- ბევრი ფიქრის შემდეგ, სად გამეგრძელებინა შემდგომი დაოსტატება, არჩევანი შევაჩერე სახელგანთქმულ ფრანგ პიანისტ პასკალ დევუაიონზე, რომელიც ადრე პარიზის კონსერვატორიის პროფესორი იყო, ახლა კი ჟენევისა და ბერლინის კონსერვატორიებში მოღვაწეობს. პასკალ დევუაიონი არაჩვეულებრივი მუსიკოსი და პედაგოგია. მასთან მუშაობა ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა. მასთან კიდევ ორ წელიწადს



ანანო გოკიელი.

ვიმუშავებ. მართალია, ამისთვის "რანგით ჩამოქვეითება" მომიხდა - მე უკვე მაგისტრი ვარ, ბერლინში კი ისევ მესამე კურსიდან დავიწყე სწავლა, მაგრამ ჩვენს საქმეში დიპლომი მეორეხარისხოვანი რამაა. მთავარია, რას სწავლობ, ვისგან სწავლობ და მერე როგორ იყენებ ამ ცოდნას.

**- თქვენს კონცერტს უფლისწული ჩარლზიც დაესწრო...**

- შოტლანდიის მუსიკისა და დრამის აკადემია უფლისწულ ჩარლზის პატრონაჟის ქვეშაა. გამოცხადდა, რომ უფლისწული უნდა გვწვეოდა, დაეთვალიერებინა სასწავლებელი და დასწრებოდა საგანგებოდ მის პატივსაცემად გამართულ კონცერტს. ამ საღამოზე გრიგის საფორტეპიანო კონცერტი შევასრულე. უფლისწული თავისი მრავალრიცხოვანი ამალით მოვიდა. კონცერტის შემდეგ ჩარლზი სცენაზე ამოვიდა და მუსიკოსებს გაგვესაუბრა. მკითხა - სადაური ხარ, რამდენი წელია, რაც უკრავო. და დაამატა: თქვენ ალბათ ძალიან კარგი მასწავლებელი გყავდათ საქართველოშიო. დირიჟორი ვალერი გერგიევი ქართველიაო? - მკითხა. მას შემდეგ, რაც ვუპასუხე, ოსური წარმოშობის რუსია-მეთქი, ხელი ჩამომართვა და მითხრა, ყოველთვის ვოცნებობდი საქართველოში ჩამოსვლაზეო.

**- რომელ უცხოელ და ქართველ დირიჟორებთან ერთად გიმუშავიათ და მათგან რომელია თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი?**

- საკმაოდ ბევრ დირიჟორთან მიმუშავია. კამერულ ორკესტრთან დაკვრის ხიბლი პირველად შავლეგ შილაკაძემ განმაცდევინა. სიმფონიურ ორკესტრთან კი პირველად რეზო ტაკიძის დირიჟორობით დავუკარი. ძალიან მწყდება გული, რომ ბაბუაჩემი ჯემალ გოკიელი ჩემს დებიუტამდე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა და ჩემთვის არ უდირიჟორია. თუმცა, მისი კეთილი სახელი არაერთხელ დამხმარებია და გზა გაუკვლევია ჩემთვის.

დაუვიწყარი იყო ჩემი შეხვედრები დევიდ დელ პინო კლინგესთან, არაჩვეულებრივ მუსიკოსსა და ადამიანთან, რომელმაც ათი წლის ბავშვს მანდო სოლისტობა საერთაშორისო ფესტივალ "მუსიკა მშვიდობას" გახსნის კონცერტზე. ორი წლის შემდეგ კი არგენტინაში მიმიწვია, სადაც მენდოსას სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამოვედი მოცარტის 23-ე კონცერტით. ორკესტრს გერმანელი იობსტ ლიბრეხტი დირიჟორობდა - მუსიკოსი, რომელსაც თბილისშიც ჩაუტარებია კონცერტები. უცხოელთაგან დამიკრავს, აგრეთვე, ბერლინელ ჰობოისტ და დირიჟორ შტეფან მაინეკესთან, რომელთან ერთად ორი სეზონის მანძილზე ვიმოგზაურე გერმანიის სხვადასხვა ქალაქში, აგრეთვე შვეიცარიაში, დანიასა და შვედეთში გრიგისა და ბეთჰოვენის მესამე საფორტეპიანო კონცერტებით. ბრიტანეთში ყოფნისას ბელფასტსა და გლაზგოში ბარტიკის მესამე კონცერტი შევასრულე შოტლანდიისა და ირლანდიის აკადემიების გაერთიანებულ სიმფონიურ ორკესტრთან. დირიჟორობდა "სკოტიშ ოპერის" მთავარი დირიჟორი რიჩარდ არმსტრონგი, რომელიც 1996 წელს ბრიტანეთის წლის დირიჟორად იყო დასახელებული. ქართველი დირიჟორებიდან კონცერტებზე თანხლებას მიწევდნენ თენგიზ ჭუმბურიძე და ზაზა აზმაიფარაშვილი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თავისი ცოდნითა და პროფესიონალიზმით.

**- ევროპაში როგორ არის განვითარებული პიანიზმი?**

- ევროპაში კლასიკურ მუსიკას ბევრი მოყვარული ჰყავს. ხალხი სიამოვნებით დადის კონცერტებზე, დიდი საკონცერტო დარბაზები იქნება ეს თუ შედარებით პატარა კლუბები და ეკლესიები. საკმაოდ ბევრი უფასო კონცერტიც ტარდება და ყველას ჰყავს თავისი აუდიტორია. იგრძნობა, რომ აქ ადამიანები დადიან მუსიკის მოსასმენად, დასასვენებლად, მოსაშვებად და არა იმისთვის, რომ შემსრულებელი შეაფასონ და თავი ექსპერტად იგრძნონ. აქედან გამომდინარე, მუსიკოსებს, მათ შორის პიანისტებს, საკმაო დაფასება აქვთ. თუმცა, დღეს კონცერტებით თავის გატანა მხოლოდ ერთეულების ხვედრია. კონკურენცია განუზომლად დიდია. პიანიზმის საშუალო დონე ძალიან ამაღლდა, განსაკუთრებით შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (ჩინეთი, იაპონია, ტაივანი) წამოსული საოცრად გაწვრთნილი პიანისტების ხარჯზე. საერთაშორისო კონკურსებზეც ძირითადად ისინი იმარჯვებენ, უფრო ხშირად ტექნიკური სრულყოფილების ხარჯზე. აღმოსავლური ორთაბრძოლები აიღეთ. იქ ხომ ყველაფერი ზუსტ მოძრაობებსა და კონცენტრირებაზეა დაფუძნებული. მათ შორის, ცხადია, ბევრი კარგი მუსიკოსიცაა, მაგრამ ზოგადი ტენდენცია მაინც ისაა, რომ გაზრდილი კონკურენციის პირობებში პიანისტები შესრულების უზადო ტექნიკური სრულყოფილებით ცდილობენ წარმატების მიღწევას. ასეთ პირობებში მუსიკა ზარალდება. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობენ სამყაროში დიდი მუსიკოსები და მათ შორის პიანისტები (რადუ ლუპუ, პაულ ბადურა-შკოდა, მაერიციო პოლინი, მიცუკო უშიდა, გრიგორი სოკოლოვი, ელისო ვირსალაძე, ალექსანდრე კორსანტია), რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და შემოქმედებით მისაბაძ მაგალითს გვიჩვენებენ, თუ როგორი უნდა იყოს მუსიკის ჭეშმარიტი მსახურის სულისკვეთება.

